ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

## პროკურატურამ მაია რჩეულიშვილს კიდევ ერთი ბრალი წაუყენა



გვ.7

16 თებერვლიდან

ვაჟა ფშაველა

ქუდოვანი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი



ხუთშაბათი, 16 თებერვალი, 2017 №39 (7274) ფასი: 50 თეთრი

# მოწმე ირაკლი მამალაძე: „უნდა მემხილებინა ადამიანები, რომლებიც გეგმავდნენ უმძიმეს დანაშაულს“



გვ.2





„მამა გიორგის მე გავაცანი ირაკლი მამალაძის სატელევიზიო გამოსვლა. ირაკლი მამალაძის სატელევიზიო გამოსვლაზე ამ ეტაპზე დამაბარა მხოლოდ ერთი ფრაზა: ირაკლი მამალაძე არის მისი გარე ბიძაშვილი, ის არის ირაკლი მამალაძის ძმისშვილის ნათლია და ის არის ირაკლი მამალაძის უახლოესი მეგობარი“.





## „ვიღაცას უნდა, რომ საპატრიარქოს სკანდალი ივანიშვილს დაბრალდეს“

ლადო სადღობელაშვილი: „ოცნებაში“ არის ძალა, რომელსაც ივანიშვილის რეიტინგის დაგდება სურს“



გვ.4



## ალეკო ელისაშვილი: „ნარმანია დასაჭერია იმის გამო, რაც ჩაიდინა“

გვ.4





## მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლებამ ცეცხლთან თამაში უნდა შეწყვიტოს“

„პოლიტიკური სპექტრი პარალიზებულია“

გვ.3

ISSN 1987-9385

# მოწმე ირაკლი მამალაძე: „უნდა მემხილებინა ადამიანები, რომლებიც გეგმავდნენ უმძიმეს დანაშაულს“

შორენა მარსაგიშვილი

საპატრიარქოში არსებული დაპირისპირება უკვე ძალიან სერიოზულ სახეს ღებულობს. მეუფე პეტრეს მიერ გაკეთებული განცხადებები საზოგადოებისთვის შოკის მომგვრელი აღმოჩნდა. არანაკლებ შოკის მომგვრელი იყო ტელეკომპანია რუსთავი 2-ის მიერ წყაროს დასახელება, რომელმაც ტელეკომპანიას მამა გიორგი მამალაძეზე ინფორმაცია მიაწოდა.

ამ თემაზე გუშინ, 15 თებერვალს, მამა გიორგის ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამაც ისაუბრა. რომელმაც დაცვის ქვეშ მყოფი კიდევ ერთხელ მოინახულა.

როგორც ფანცულაიამ ჟურნალისტებს განუცხადა, დეკანოზი ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ერთ ფრაზას ამბობს.

– მე გავაცანი ირაკლი მამალაძის სატელევიზიო გამოსვლა. ირაკლი მამალაძის სატელევიზიო გამოსვლაზე ამ ეტაპზე დამაბარა მხოლოდ ერთი ფრაზა: ირაკლი მამალაძე არის მისი გარე ბიძაშვილი, ის არის ირაკლი მამალაძის ძმისშვილის ნათლია და ის არის ირაკლი მამალაძის უახლოესი მეგობარი, – განაცხადა ადვოკატმა.

მისი განცხადებით, მამა გიორგი თავისი ოჯახის უსაფრთხოების დაცვას ითხოვს და ამბობს, რომ ხელისუფლება შეცდომაშია შეყვანილი.

– ფიქრობს, რომ ხელისუფლების ორგანოები შეცდომაში არიან შეყვანილი და იმედი აქვს, რომ ეს მდგომარეობა გამოსწორდება და რეალურად დაინტერესდებიან ამ საქმით.

განსაკუთრებით დამაბარა, რომ ის ითხოვს ოჯახის უსაფრთხოებას. ჩვენ ზოგადად ვისაუბრეთ ამის შესახებ, თუმცა ბოლომდე ჩემთანაც არ გაიხსნა თუ რატომ ითხოვს ასე კატეგორიულად ოჯახის უსაფრთხოებას. დეკანოზი რომ არ გრძნობდეს, რომ ოჯახს შესაძლოა


მეუფე პეტრე

გარკვეული საფრთხე ემუქრებოდეს, ამის შესახებ არ ისაუბრებდა, – ამბობს ადვოკატი.

გავრცელებული ინფორმაციით, მამა გიორგის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა. ეს ინფორმაცია ფანცულაიამაც დაადასტურა.

– მამა გიორგის მაღალი სიცხე აქვს და ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, – აცხადებს გიორგი ფანცულაია.

იქედან გამომდინარე, რომ ციანიდის საქმე ბურუსითაა მოცული და ბევრი კითხვის ნიშანი გაჩნდა, გავრცელდა ვერსია, რომ მამა გიორგი მამალაძის სიცოცხლეს შესაძლოა საფრთხე დაემუქროს.

მისი უსაფრთხოების დაცვისკენ უკვე მოუწოდეს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრ კახა კახიშვილს.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მამალაძე უსაფრთხოდ იყოს განთავსებული პენიტენციურ სისტემაში.

ადვოკატისგან განსხვავებით, მინისტრმა დაკავებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე


გიორგი მამალაძე

არ ისაუბრა. კახიშვილმა განმარტა, რომ ის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე ვერ ისაუბრებს.

– ყველა უნდა შევეჩვიოთ, რომ არსებობს პერსონალური მონაცემების დაცვის ცნება, როდესაც არ მაქვს საშუალება, ჩვენთან განთავსებული პატიმრების ავადმყოფობის დეტალებზე ვისაუბრო. ბრალდებული ადვოკატებს ყოველდღიურად ხვდება და იმ შემთხვევაში, თუკი საჭიროდ ჩათვლის, რომ გაახმოვანოს ინფორმაცია, რომელიც ჩემი მხრიდან არ შეიძლება იყოს გახმოვანებული, გაახმოვანებს.

რაც შეეხება უსაფრთხოების ზომებს, მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი პატიმრების უსაფრთხოების დაცვაა. გვყავს პატიმრები, რომელთა დაკავშირებითაც ვფიქრობთ, რომ უფრო მეტად უნდა უზრუნველვყოთ უსაფრთხოების საკითხები. არიან ადამიანები, რომელთა მიმართ უსაფრთხოების განსაკუთრებულ ზომებს ვიყენებთ. მიმდინარეობს ამ კუთხით მუშაობა, რომ ბრალდებული უსაფრთხოდ იყოს განთავსებული პენიტენციურ სისტემაში, – აღნიშნა მინისტრმა.

◆ ◆ ◆

ციანიდის სკანდალის შემდეგ პირველი ვრცელი კომენტარი გააკეთა პატრიარქის დაცვის უფროსმა სოსო ოხანაშვილმა, რომელიც ჩვენების მისაცემად გერმანიიდან თბილისში ჩამოიყვანეს.

ოხანაშვილი ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს და ამბობს, რომ მოწმის სტატუსით გამოიძახეს მხოლოდ. ის არ გამორიცხავს, რომ პროკურატურაში კიდევ დაიბარონ.

– მე ვიყავი გამოძახებული როგორც მოწმე, რადგან ვარ პატრიარქის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და ეს უშუალოდ ამ თემას ეხებოდა, იმიტომ, რომ უსაფრთხოების საკითხია. დამიბარეს, ჩავფრინდი, გაირკვა და გამოვფრინდი უკან. დაახლოებით ვიცოდი, რა თემას ეხებოდა, – განაცხადა ოხანაშვილმა.

დაკითხვის დეტალებზე პატრიარქის უსაფრთხოების სამსახურის უფროსი ამ ეტაპზე არ საუბრობს. ოხანაშვილის განმარტებით, მას ხელი აქვს მოწერილი გაუთქმელობის დოკუმენტზე.

– მე ბოლომდე ვითანამშრომლებ პროკურატურასთან, იმიტომ, რომ გამოძიებული უნდა იქნას ყველაფერი, რაზეც არის ეჭვები. მე არსად არ გავრბივარ, – განუცხადა ჟურნალისტებს ოხანაშვილმა.

კომენტარი გააკეთა ჟურნალისტმა ირაკლი მამალაძემაც.

მისი თქმით, გამოძიებას ბევრი მტკიცებულება აქვს და ის ამ მტკიცებულებების მოპოვებაში სახელმწიფო ბრალდებას ეხმარებოდა.

– რაც გავაკეთე, მინდა ვთქვა მთელი პასუხისმგებლობით, რომ მე მოვიქეცი როგორც კანონიერი მოქალაქე და მე, ასე ვთქვათ, ვითანამშრომლე გამოძიებასთან იქედან გამომდინარე, რომ საქმე გვქონდა უმძიმეს დანაშაულთან, რომლის აღკვეთა საბედნიეროდ მოხერხდა, როგორც


შორენა თეთრუაშვილი

აცხადებენ. ორი არჩევანი მქონდა პირადად მე, ან უნდა ვყოფილიყავი დანაშაულში ან უნდა მემხილებინა ადამიანები, რომლებიც გეგმავდნენ უმძიმეს დანაშაულს, – აცხადებს მამალაძე.

მისივე თქმით, სავარაუდოდ, ლიკვიდირების გეგმაში მამა გიორგი მამალაძე ერთადერთი ფიგურანტი არ იყო.

– ეს გამოძიებამ უნდა გამოკვეთოს, რა თქმა უნდა. მხოლოდ ერთი ადამიანის გახურებულ თავში ეს სიბინძურე არ მოიხარშებოდა და ამის უკან სავარაუდოდ, დგანან ადამიანები. არის უამრავი მტკიცებულება, არის ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, როგორც თქვეს და დაელოდოს საზოგადოება. თუ ასე ძალიან აინტერესებს საზოგადოების რომელიღაც ნაწილს თუ რა მოხდა, რა მტკიცებულებები აქვს პროკურატურას, მე ვფიქრობ, უნდა შექმნან რაღაცა ჯგუფი, მოითხოვონ პროკურატურაში შესვლა და ნახონ ეს ჩანაწერები, თუ ეს არ გასაჯაროვდება. ძალიან ბევრ მტკიცებულებაზეა საუბარი, არა მარტო აუდიო და ვიდეო ჩანაწერებზე. საკმაოდ ბევრ მტკიცებულებაზეა საუბარი მინდა გითხრათ და ამას გამოძიება თვითონ იტყვის.

ის ადამიანები, რომლებიც მე დღეს ასე საჯაროდ მლანძღავენ, მიპირისპირდებიან, მინდა მათ ვუთხრა, რომ აუცილებლად შერცხვებათ მას შემდეგ, რაც გამოძიება დადებს ფაქტს. თავიანთი თავების შერცხვებათ და მაშინ მათ ეძინათ, ქართველმა სამართალდამცავებმა აღკვეთეს უმძიმესი დანაშაული საქართველოში და გადაარჩინეს ქვეყანა იმ უბედურებას, რაც იგეგმებოდა.

არ ვიცი მე, სავარაუდოდ, ვისი მოკვლა იგეგმებოდა და ლიკვიდაცია, მე არ ვიცი. გამოვიდეს, დუმილის უფლებას ვინც იყენებს და თქვას: სად მიდიოდა, რა მიჰქონდა, რატომ მიჰქონდა და ვინ იდგა მის უკან, – განაცხადა ირაკლი მამალაძემ რუსთავი 2-თან საუბარში.

## ვინ მართავს საპატრიარქოს

ეკლესიის გარშემო არსებული დაძაბული ვითარება კიდევ უფრო დაძაბა მეუფე პეტრეს განცხადებამ.

მან რუსთავი 2-ის ეთერში საუბრისას მეუფე იაკობს შორენა თეთრუაშვილის ინტრიგების უნებლიე თანამონაწილე, შორენა თეთრუაშვილს კი საქართველოს საპატრიარქოში რუსეთის მთავარი დასაყრდენი ძალა უწოდა.

მეუფე პეტრე დეკანოზ გიორგი მამალაძის მიერ გავრცელებული წერილის იმ ნაწილსაც ეხმაურება, სადაც კორუფციულ გარიგებებში ხელისუფლების მაღალჩინოსნების მონაწილეობაზეა საუბარი.

მისი თქმით, ხელისუფლების გარკვეული ჯგუფი შორენა თეთრუაშვილის ინტრიგაში, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩართულია.

მეუფე პეტრე არ გამორიცხავს, რომ ქონების დატაცების პროცესში ხელისუფლების წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ.

მის ამ და კიდევ უფრო სკანდალურ ბრალდებებს ბერლინიდან გამოეხმაურნენ მეუფე იაკობი და შორენა თეთრუაშვილი. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ არ იცის რაზე ლაპარაკობდა მეუფე პეტრე და, საერთოდ, ის სხვა ადამიანზე ლაპარაკობდა.

მეუფე იაკობი კი ითხოვს, რომ მეუფე პეტრემ მას პირში უთხრას სათქმელი.

– ჩემი მისამართით რასაც ამბობს მეუფე პეტრე, მოვიდეს და პირში მითხრას. თუ უნდა, რომ საზოგადოებაში ავტორიტეტი ჰქონდეს და პატივისცემა, ასეთი რაღაცეები არ უნდა ილაპარაკოს. მეუფეს უნდა შერცხვეს. რომ შემხვდება, როგორ იქნება, არ ვიცი, როგორ შემხვდება, როგორ უნდა შემხვდეს. დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს, ჩემგან თანადგომის მეტი არაფერი არ უნახავს და ასეთ სამარცხვინო რაღაცას ჩემზე რომ ამბობს, თვითონ იცის, რომ იტყუება, – აღნიშნა მეუფე იაკობმა.

მისი თქმით, საპატრიარქოში, პატრიარქის გარდა, არ არსებობს არც ერთი ადამიანი, ვინც მას რაიმე დავალების შესრულება მოსთხოვს.

– პატრიარქის გარდა სინოდში არ არსებობს არც ერთ მიტროპოლიტი, მთავარეპისკოპოსი თუ ეპისკოპოსი, მე ბრძანებას მაძლევდეს. უწმინდესი კიდევაც მიბრძანებს, კიდევაც დამავალებს. თუ უწმინდესი დაავალებს ქალბატონ შორენას რამეს, და თუ ის გადასცემს ამას სასულიერო პირებს, მაშინ ყველა ასრულებს დავალებას. ჩემს საქმეში მე დავალებას, პატრიარქის გარდა, ვერავინ ვერ მაძლევს. სამარცხვინოა ამაზე საუბარი, – ამბობს მეუფე.

კითხვაზე, მართლაც აქვს თუ არა საპატრიარქოში დიდი გავლენა შორენა თეთრუაშვილს, როგორც ამას მეუფე პეტრე ცაავა ამბობს, ქორეპისკოპოს იაკობის თქმით, „შეიძლება მეუფე პეტრეზე აქვს და უნდა მისი გავლენისგან გათავისუფლება“.


მეუფე იაკობი

ამასთან, მეუფე იაკობი მიიჩნევს, რომ მისი სახელი ამ ბოლო დროს ხშირად იმიტომ ისმის, რომ რიგ სასულიერო პირს მისი ეშინია.

– ჩემი სახელი იმიტომ ფიგურირებს, რომ ჩემი შიში აქვთ, იმიტომ, რომ, მაპატიეთ და მაიმუნობის საშუალებას არ ვაძლევ არავის, ვინც არ უნდა იყოს ის, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

◆ ◆ ◆

საპატრიარქოში მიმდინარე პროცესებში ხელისუფლების ხელს ხედავს რესპუბლიკური პარტია.

პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძის თქმით, ამაზე მეტყველებს პრემიერის განცხადება, რომელიც გიორგი კვირიკაშვილმა დეკანოზ გიორგი მამალაძის დაკავებაზე გააკეთა.

– ეს საჯაროობა გამოიწვია იმ ბრძოლამ, რომელიც პატრიარქის ტახტის მემკვიდრეებს შორის მიმდინარეობს. ჩანს ორი მხარე, ერთი არის ბათუმის მიტროპოლიტის, დიმიტრი შიოლაშვილის მხარე, რომლის გარემოცვაშიც არის დაკავებული დეკანოზი, ასევე დაცვის უფროსი, რომელიც არის მისი სიძე და მეორე მხრივ, არის იაკობი, რომლის რიტორიკა ცდება სასულიერო პირის ტერმინოლოგიას, როგორც ის მეტყველებს.

იაკობი არის დაახლოებული პირი პრემიერთან, ამას ადასტურებს პრემიერის საჯარო განცხადება პროკურატურის განცხადების მეორე დღესვე, როდესაც მან უდანაშაულობის პრეზუმპცია უხეშად დაარღვია და მხარე დაიკავა. ეს ადასტურებს ამ მახინჯ ურთიერთობას ეკლესი-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# მამუკა კაციტაძე: „ხელისუფლებამ ცეცხლთან თამაში უნდა შეწყვიტოს“

## „პოლიტიკური სპექტრი პარალიზებულია“

ნათია ხურცილავა

„ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარე მამუკა კაციტაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***– ბატონო მამუკა, ბოლო დროს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს როგორ შეაფასებთ?***

– მას შემდეგ, რაც ერთი პოლიტიკური ძალის ხელში აღმოჩნდა აბსოლუტური ძალაუფლება, მისი ყველა გამოვლინებით, ამან სერიოზული პრობლემა შეუქმნა როგორც პოლიტიკურ პროცესს, ისე ქვეყნის ჯანსაღ განვითარებას.

ხელისუფლებაში შეიძლება ვიღაცას უხარია აბსოლუტური ძალაუფლების ხელთპყრობა, მაგრამ ეს არის სერიოზული საფრთხისა და რისკის შემცველი, როგორც პოლიტიკური გუნდისთვის, რომელიც დღეს ხელისუფლებაშია, ისე ზოგადად ჩვენი ქვეყნისთვის. პირველ ეტაპზე ვირტუალური საფრთხეები შეიქმნა, რაც შემდეგ ეტაპზე რეალობად იქცა. ეს საფრთხეები აუცილებლად განვითარდება და ახლა სწორედ ამ პროცესს ვადევნებთ თვალ-ყურს.

***– ხელისუფლება რამდენად გაართმევს თავს მათ მოგვარებას?***

– რთული სათქმელია, რადგან, ერთი მხრივ, ამ ყველაფერს თან ერთვის ხელისუფლების პოლიტიკური გამოუცდელობა, და, მეორე მხრივ, დაბალი კვალიფიკაცია არა მხოლოდ პოლიტიკის სფეროში, არამედ კონკრეტული მიმართულებებით. ეს არსებულ რისკებს კიდევ უფრო ამძაფრებს. ამ ფონზე გაქრა ფენომენი „მთავარი ოპოზიციური ძალა“. გაქრა სწორედ იმ რღვევით, რაც მოხდა ნაციონალურ მოძრაობაში.

***– ოპოზიცია არ არსებობს?***

– ამ შემთხვევაში, ოპოზიციის მდგომარეობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარ აქვს. თვით ოპოზიციის მდგომარეობაც კი ამ რისკებზე უარყოფითად მოქმედებს.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ოპოზიციას დაეკარგა კონტროლი სრულად, არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ მისი მდგომარეობიდან გამომდინარე. პოლიტიკური სპექტრი, უბრალოდ, პარალიზებულია. პარალიზებულია ცალკეული პიროვნებების პოლიტიკიდან დროებით თუ სამუდამოდ გასვლით, უსახსრობით თუ ურესურსობით, უუნარობით თუ დაქსაქსულობით.

დღეს ოპოზიცია გაუბედურებულ მდგომარეობაშია. ამას გეუბნებით მე, ერთ-ერთი ოპოზიციონერი. ამ ყველაფერმა ერთობლიობაში შექმნა საფრთხეები, რომლებიც შეიძლება ყოველდღიურად განვითარდეს. ვხედავთ რისკების რეალიზაციას. ერთი მხრივ, შეიქმნა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია, რომელიც რას გვიქადის, არავინ იცის.

რისთვის სჭირდება დღეს ხელისუფლებას არაპირდაპირ არჩეული პრეზიდენტი?! ვის რას უშავებს ამ უფლებამოსილებით პრეზიდენტი? რამდენი ვეტოც არ უნდა დაადოს ამ პრეზიდენტმა თუ სხვა პრეზიდენტმა, აბსოლუტური ძალაუფლების ტყვეობის ხელში, რა პრობლემას წარმოადგენს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნები? რატომ უნდა გადავაბაროთ თუ ჩავაბაროთ ეს ინსტიტუტი ერთი პოლიტიკური ძალის მიერ კონტროლირებად პარლამენტს?!

***– უმრავლესობის არგუმენტია, რომ სწორედ არსებულ ძალაუფლებასთან შეუსაბამობაში მოდის პირდაპირი წესით არჩევნები, მაღალი ლეგიტიმაცია.***

– გასაგებია, რომ არჩევის ფორმა შეიძლება შეესაბამებოდეს პრეზიდენტის უფლებამოსილებებს, მაგრამ დღეს ხომ გვყავს ამ ფორმით არჩეული პრეზიდენტი. საზოგადოებას ხომ ვართმევთ ერთ რაღაცას, რომელიც მას აქვს უკვე მოპოვებული. მაღალი ლეგიტიმაციის ინსტიტუტს ვართმევთ, სად არის აქ ბალანსი?!

საკონსტიტუციო სასამართლოს პრობლემაც მოდის აქვე წინა პლანზე: ერთი მოსამართლე, მეორე მოსამართლე, ახლა მთლად ხელისუფლების სახე, ყოფილი ვიცე-სპიკერი გვევლინება საკონსტიტუციო სასამართლოში. სასამართლო სისტემაშიც შევიდა აბსოლუტური ძალაუფლების ტყვეობის სურვილი.

ამას ემატება მეოთხე ხელისუფლებაში შეღწევის სურვილი, არ ვგულისხმობ მხოლოდ რუსთავი 2-ს, საზოგადოებრივ მაუწყებელზე განვითარებულ მოვლენებზე ვსაუბრობ, გადაცემების დახურვით თუ შეჩერებით, ფართის საკითხით, 400 მილიონის გახარჯვით, რაზეც პირდაპირ საუბრობენ ადამიანები და ამ დროს რას აკეთებს ან შინაგან საქმეთა სამინისტრო, ან პროკურატურა, გაუგებარია.

ამ ყველაფერს ემატება ძალიან გავლენიანი ინსტიტუტი ეკლესია, რომელიც უკანასკნელი დღეების განმავლობაში არის მთავარი აქტორი ავანსცენაზე. გაიხსნა მრავალმხრივი ცეცხლი, ეკლესია გამოდის ტალახის სასროლ ავანსცენაზე.

***– როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, როგორია თქვენი მოლოდინი?***

– ეს არის ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესის მთელი ჯაჭვი, რომელიც აბსოლუტურ გარყვნამდე შეიძლება მივიდეს. რა არის ამ ყველაფრის მიზეზი? ორი ახსნა აქვს: ან უცოდინრობა, არაკვალიფიციურობა, ან აბსოლუტური ძალაუფლების ტყვეობა, რაც ბუნებრივად იწვევს ამ პროცესებს. აბსოლუტური ძალაუფლება, რომელიც აბსოლუტურად არის უკონტროლო.

***– თქვენ ამბობთ, რომ ოპოზიცია არ არსებობს, არასამთავრობო სექტორი?***

– ეს არის კნავილი, რომელიც საპირწონე ამინდს ვერ შექმნის. ამიტომ გამოსავალი არის მხოლოდ ორ რამეში: პირველი, ხელისუფლებაში ვინმემ უნდა გააცნობიეროს არსებული რეალობა. პრობლემა უნდა დაინახოს ვინმემ და უნდა მიხვდეს, რომ ეს პირველ რიგში მათ შეუქმნით პრობლემას. ხელისუფლება უნდა მიხვდეს, რომ ცეცხლთან



### „ოპოზიცია გაუბედურებულ მდგომარეობაშია“

თამაში უნდა შეწყვიტოს. ვგულისხმობ აბსოლუტური ძალაუფლების, ყველაფრის გაკონტროლების სურვილის, ნების დავიწყებას. ამის გაცნობიერებაში მას სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ოპოზიცია უნდა დაეხმაროს და არა – ჩასაფრებული ოპოზიცია. თუ ეს ვერ გააცნობიერა ხელისუფლებამ, დრო ყველაფერს დაალაგებს.

***– რას გულისხმობთ?***

– ამოუვა ეს ყველაფერი საზოგადოებას ყელში. აუცილებლად დაიწყება შიგნით ხრწნა, შიდა კონფლიქტები გარდაუვალი იქნება.

# მოწმე ირაკლი მამალაძე: „უნდა მემხილებინა ადამიანები, რომლებიც გეგმავდნენ უმძიმეს დანაშაულს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ასა და სახელმწიფოს შორის, – განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

### დააფინანსებს თუ არა სახელმწიფო ეკლესიას

ამ დაპირისპირებაში აქტუალური გახდა საპატრიარქოს დაფინანსების თემაც. რესპუბლიკურმა პარტიამ ხელისუფლებას მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების პოლიტიკის გადახედვისკენ მოუწოდა.



ირაკლი მამალაძე

ხათუნა სამნიძის განცხადებით, სხვადასხვა ხელისუფლების, მათ შორის, შევარდნაძე-აბაშიძის რეჟიმის პირობებში, ეკლესია იღებდა მატერიალურ ხელშეწყობას, რამაც სააკაშვილის დროს მიიღო უფრო მრავალფეროვანი ფორმა, დღეს კი ეს პრაქტიკა კიდევ უფრო რადიკალური ფორმების გახდა.

მისივე თქმით, არ ხდება თანხებისა თუ უძრავ-მოძრავი ქონების გადაცემის პროცესის მონიტორინგი.

– ვთვლით, რომ ამ რთულ ვითარებაში მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს ეკლესია და სახელმწიფო. არ გასცდეს კონკორდატით შეთანხმებულ ნორმებს არც ხელისუფლება და არც ეკლესია, რასაც დღეს აქვს ადგილი და შეწყდეს მართლმადიდებლური ეკლესიის დაფინანსების დღეს არსებული პოლიტიკა.

თუ ვლაპარაკობთ კომპენსაციაზე, რაც განსაზღვრულია კონკორდატით, ვისაუბროთ კომპენსაციაზე და ეს უნდა იყოს დასაბუთებული და კონკრეტული, – განაცხადა ხათუნა სამნიძემ.

პარტიის ერთ-ერთი ლიდერის თამარ კორძაიას ინფორმაციით, ეკლესიას უკვე მიღებული აქვს ფულადი სახით 200 მილიონ ლარზე მეტი, ასევე საპატრიარქოს მიღებული აქვს 1 მილიონ ჰექტარზე მეტი მიწა.

მათ ინიციატივას ნაწილობრივ იზიარებს ოპოზიცია, ხელისუფლება კი არაფრის შეცვლას არ აპირებს.

„ევროპული საქართველოს“ წევრი სერგი კაპანაძე მიიჩნევს, რომ საპატრიარქოს დაფინანსების საკითხში მეტი გამჭვირვალობა უნდა შევიდეს.

მისი თქმით, დაფინანსების და ქონების გადაცემის გაუმჭვირვალობა დღეს არსებულ სისტემაში ქმნის პრობლემებს, რომლებიც დღეს სახეზე გვაქვს და ეს ქმნის ხელისუფლების და ეკლესიის ერთმანეთის საქმეებში ჩარევის პრობლემას.

უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გედევან ფოფხაძე ამბობს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების გაუქმებაზე საუბარი სწორი



არ არის.

„ოცნების“ კიდევ ერთი ლიდერი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი გია ვოლსკი კატეგორიულად არ იზიარებს რესპუბლიკელების მოსაზრებას.

– სახელმწიფოს სტაბილურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, სხვადასხვა რელიგიური კონფესიები კონკრეტულ შემთხვევებში როგორ მოქმედებენ. არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივაქციოთ ყურადღება სპეკულაციებს, თითქოს ეკლესია ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას ემსახურება. იგი ემსახურება სახელმწიფოს.



ქართულ სახელმწიფოსთან დამოკიდებულებაში ეკლესიის როლის პოლიტიკურ პრიზმაში განხილვა არის უდიდესი შეცდომა, რასაც ამ შემთხვევაში რესპუბლიკური პარტია უშვებს. მათ აზრს, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მე ვფიქრობ, სახელმწიფო ინტერესების პრიზმიდან გამომდინარე ასეთი როლი არასწორია, – განაცხადა ვოლსკიმ.

მისივე თქმით, ეკლესიას მნიშვნელოვანი როლი გააჩნია საზოგადოების განვითარებაში და ჩვენი ეკლესია არ არის ის, რასაც რესპუბლიკური პარტია ხშირად წარმოაჩენს – რაღაც რეგრესული ძალა.

# ნიკა გვარამიას თბილისის საქალაქო სასამართლოში დღეს დაკითხავენ

რუსთავი 2-ის გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას, თბილისის საქალაქო სასამართლოში მამუკა ახვლედიანთან ფარული ჩანაწერის საქმეზე მოწმის სახით დღეს დაკითხავენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გვარამიას ადვოკატმა დიმიტრი საძაგლიშვილმა განუცხადა, ნიკა გვარამია, თავისივე მოთხოვნის შესაბამისად, დაკითხვაზე გამოცხადდება.



– პროცედურა არ განსხვავდება საგამოძიებო ორგანოში დაკითხვისგან, უბრალოდ მოწმის დაკითხვა ხდება მოსამართლის თანდასწრებით და მოსამართლე ხელმძღვანელობს პროცესს, კითხვების დასმას კი აწარმოებს საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელი.

ჩვენი მოთხოვნის საფუძველი იყო უნდობლობა შსს-ს მიმართ, რაც თავის მხრივ საკმაოდ ლოგიკური იყო რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, მიგვაჩნია, რომ შსს-ს არ აინტერესებს იმ საქმის გამოძიება, რაც ეხება ნიკა გვარამიას კომპიუტერულ სისტემაში უკანონო შეღწევას და ვიდეოჩანაწერის უკანონოდ მოპოვება-გავრცელებას. გარდა ამისა, ჩვენ დაკითხვისას დავასახელეთ პირთა ვინაობა, ვისაც მოსმენილი ჰქონდა ჩანაწერის სრული ვერსია, მაგრამ არც ერთ მათგანთან კომუნიკაცია საგამოძიებო ორგანოს არ ჰქონია და არ დაინტერესებულა რეალურად სხვა პირთა მოსაზრებით, ვისაც მოსმენილი ჰქონდა აღნიშნული ჩანაწერი.

მეც ვიყავი ამ ჩანაწერში. ამ ვითარებაში, როდესაც შსს ამბობს, რომ არსებობს ექსპერტიზის დასკვნა, ცალსახაა, რომ ეს არის ყალბი დასკვნა, თითქოსდა ჩანაწერი არ არის დამონტაჟებული ვერსია. ამ მიზეზთა ერთობლიობის გამო, არ ვენდობით შსს-ს და მოვითხოვეთ, სასამართლოს წინაშე მომხდარიყო დაკითხვა, – განაცხადა საძაგლიშვილმა.

მისივე თქმით, ნიკა გვარამიას შემთხვევაში, მიუხედავად პროცედურებისა, არ არის გამორიცხული მისი დაკავება.

– რომ მეკითხებოდეთ სხვა საქმეზე, ცალსახად გეტყოდით, რომ დაკავება შესაძლებელი არ არის, რადგან პირის დაკავებას უნდა უძღოდეს სხვა პროცედურები. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ დაკითხვა ეხება ნიკა გვარამიას და გამომდინარე იქიდან, თუ რა დამოკიდებულება აქვს ხელისუფლებას რუსთავი 2-ის მიმართ, არაფერს გამოვრიცხავ, – განაცხადა ადვოკატმა.

**ინტერპრესნიუსი**

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# ალეკო ელისაშვილი: „ნარმანია დასაჭერია იმის გამო, რაც ჩაიდინა“

## „კორუფციის ჭაობშია ჩაძირული თბილისის მერია“

ნონა ცაბაძე

მოსამართლე ნატა ნაზღაიძის გარშემო აგორებული სკანდალის შესახებ „ახალი თაობის“ კითხვებს საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი, ალეკო ელისაშვილი პასუხობს.

***– ალეკო, მოსამართლე ნაზღაიძის ირგვლივ აგორებული სკანდალი აქტუალობას არ კარგავს. ამ თემაზე არაერთი განცხადება გაკეთდა, თქვენც დიდი ხანია საუბრობთ, რომ თბილისის მერია კორუფციის ჭაობშია ჩაძირული. რა ხდება რეალურად დედაქალაქის მერიაში და რამდენად არის ამ ყველაფერში გარეული ნარმანია?***

– ნამდვილად ასეა, კორუფციის ჭაობშია ჩაძირული თბილისის მერია და არა მარტო მერია. ნაზღაიძის ძმისთვის მიწის გადაცემა-გადმოცემის ამბავიც ადასტურებს, რომ არა მხოლოდ საშუალო და ქვედა რგოლია კორუფციაში ჩაფლული, არამედ ჩართულია სულ ზედა ეშელონები! პირადად ნარმანიას ხელმოწერით შემოვიდა ის დოკუმენტი, რომელზეც ახლა ვლაპარაკობთ და, შესაბამისად, ნარმანია, ქონების მართვის სამსახური, იურიდიული სამსახურის უფროსი იყვნენ თავიდან ბოლომდე ჩართულები ამ კორუფციულ სქემაში!

***– ნარმანიამ გააკეთა კომენტარი, რომ ქონების გადაცემა კანონიერი გზით მოხდა.***

– როდესაც ადამიანს ქონება აღარ გააჩნდა, მისი ქონება იყო ბანკის საკუთრება, დაუბრუნეს სრულიად უკანონოდ! ცალკე ბანკს მისცეს კომპენსაცია და ამ კაცს კიდევ ხუთმაგად აუნაზღაურეს ის ყველაფერი და ეს ყველაფერი მოხდა იმის გამო, რომ რუსთავი 2-თან დაკავშირებით მის დას, ნატა ნაზღაიძეს, ხელისუფლებისთვის სასურველი გადაწყვეტილება გამოეტანა! ეს არის ერთმნიშვნელოვანი და ეს ადასტურებს იმას, რომ ყველა რგოლშია კორუფცია! თუ აქამდე კორუფციას ვაწყდებოდით შუა რგოლში, ეს ფაქტი პირდაპირ ადასტურებს, რომ ნარმანია პირადად იყო ჩართული ამ კორუფციული სქემის მოფიქრებაში!

***– პროკურატურა დაინტერესდა აღნიშნული საქმით, დეპუტატი ირაკლი აბესაძე დაიბარეს ამ საკითხთან დაკავშირებით. უშვებთ იმის ალბათობას, რომ დავით ნარმანიას სისხლის სამართლებრივი დევნა დაიწყოს? მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს?***

– ამ სკანდალის აგორებიდან უკვე გავიდა გარკვეული პერიოდი. როგორც ვიცი, პარლამენტის დეპუტატმა, ირაკლი აბესაძემ ამ საქმეზე განცხადება პროკურატურაში 2-3 კვირის წინ შეიტანა და ამ დრომდე ყურიც არ შეუბერტყავს პროკურატურას და ფეხის ათრევით, სხვა გზა არ აქვს და ახლა დაიწყო დაბარებები და გამოძიებები. არადა ვალდებულია, საჯარო მოხელის განცხადებაზეც კი რეაგირება მოახდინოს და გამოძიება დაიწყოს. შეეძლოთ ამდენ ხანს დაეწყოთ, მაგრამ ფეხს ითრევენ და ისე წაიყვანს პროკურატურა გამოძიებას, როგორც აქამდე მიჰყავდათ ხოლმე.

***– ჩვენ უკვე მოვისმინეთ განცხადებები, რომ ნაზღაიძის ძმა არაფერ შუაშია და აქ საუბარია ვინმე ჩოხელზე. ამაზე რას იტყვით?***

– ძალიან სასაცილოა ეს ყველაფერი! რას ჰქვია სხვა პირს ეხება?! იურიდიულ საბუთებში ზვიად ნაზღაიძე ფიგურირებს და სხვა პირს რანაირად ეხება, ძალიან საინტერესოა. როგორც ჩანს, უნდათ, რომ საქმე სხვანაირად შეკერონ. აი, ამ ნათქვამით, რომ აქ შუაშია ვინმე ჩოხელი და არა – ნაზღაიძე, მერია რას ამბობს, იცით?!

***– რას?***

– ისინი ადასტურებენ, რომ კორუფციული სქემა განახორციელეს. აქ ორი დანაშაული იკვეთებოდა – კორუფციული სქემის განხორციელება და კორუფციული სქემის განხორციელება მოსამართლის მოქრთამვის გამო. ახლა უნდათ, რომ ამ ორი ბრალიდან ერთ-ერთი მოხსნან როგორმე და თქვან, რომ ჩვენ კი განვახორციელეთ კორუფციული სქემა, მაგრამ ვინმე ჩოხელის გამო და მოსამართლე არ მოგვიქრთამავსო. ფიქრობენ, რომ დანაშაულს გაიმარტივებენ. თუმცა ამ ყველაფერს იურიდიულად დასაბუთება სჭირდება.

***– ვერ დაასაბუთებენ?***

– ღვთის წყალობით, გვაქვს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, სადაც პირდაპირ ინტერნეტში დევს დოკუმენტაცია! იქ ვინმე ჩოხელი, არანაირად არც ერთ დოკუმენტში არ ფიგურირებს! სახლში ჩუსტებით რაღაცაზე დაილაპარაკეს და რაღაცაზე გარიგდნენ, ეს მე არ ვიცი! ჩვენ აქ იურიდიულ დოკუმენტზე ვლაპარაკობთ და არა – ხალხურ ზეპირსიტყვიერებაზე. გარიგება თუ გამორიგებაა უნდა ჩანდეს დოკუმენტებით. დოკუმენტებში კი მსგავსი არაფერი ჩანს. ამიტომ ეს განცხადებები ძალიან არასერიოზულია, რომ თურმე სინამდვილეში ვიღაც სხვა ყოფილა და ასე შემდეგ.

***– ანუ სახეზეა კორუფციული გარიგება?***

– ერთმნიშვნელოვნად ასეა! ეს არის კორუფციული სქემა! ყველანაირი დოკუმენტაცია მზად გვაქვს, მე პროკურორი არ ვარ და მე როგორ დავაკავებ ნარმანიას, ვისაც ევალება, მან უნდა იმოქმედოს! გამოიძიონ, უმარტივესად გასარკვევია! ეს ერთ-ერთი სქემაა, თორემ უამრავი კორუფციული გარიგება ხდება მერიაში, ჩაიძირა ეს ქალაქი კორუფციის ჭაობში!

***– კიდევ რა სკანდალურ ფაქტებზე შეგიძლიათ საუბარი?***

– მთავარი არქიტექტორი მოხსნეს ჩემი განცხადების შემდეგ და მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა პირდაპირ დაწერა, რომ ქალაქის მთავარმა არქიტექტორმა შეგნებულად, წინასწარი განზრახვით, 10 სართულიანი კორპუსი გაასაღა 6 სართულიან კორპუსად, დაამტკიცა და ამით ბიუჯეტს მიაყენა 402 ათასი ლარის ზარალი! თბილისის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა დაადასტურა ეს და პროკურატურაში გადააგზავნა აუდიტის სამსახურმა საქმე გამოძიებისთვის. მეტი, უბრალოდ, რაღა გითხრათ?!

***– თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება და საუბარია, რომ არავის უნდა ჰქონდეს მოლოდინი, რომ ვინმე ნარმანიას ვადაზე ადრე გადააყენებს თანამდებობიდან. თუმცა მერიის წინ აქციებმა იმატა ნარმანიას გადადგომის მოთხოვნით. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ? მოუწევს ნარმანიას გადადგომა არჩევნებამდე?***

– არ ვიცი, როგორ განვითარდება მოვლენები, თუმცა იმის გამო, რაც ნარმანიამ ჩაიდინა, ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებ, რომ არის დასაჭერი! იმიტომ, რომ მისი ხელმოწერით შემოვიდა ეს დოკუმენტაცია. თუ გამოვა და ამ შემთხვევაშიც გადათქვამს და იტყვის, მე არ ვიცი, ხელი რას მოვაწერეო, არ ვიცი, მაშინ რა იქნება!

ნორმალურ სიტუაციაში, სულ მცირე, ნარმანია უკვე რამდენჯერმე უნდა ჰყოლოდათ დაბარებული დაკითხვაზე და ნორმალურ სიტუაციაში დადგებოდა ნარმანიას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. მე ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ვინც ეს სქემა მოიგონა, განახორციელა და გააბრიყვა საკრებულო, ყველა ამ ადამიანმა პასუხი აგოს!

***– პირადად თქვენს საქმეზე რას იტყვით? სასამართლოში გიჩივლათ ბესელიამ და ბოდიშის მოხდასაც ითხოვს. ამ კუთხით რა ხდება?***

– 28 თებერვალს გაიმართება სხდომა. მოსამზადებელი სხდომა გვქონდა და ახლა განხილვა დაიწყება.

***– საკუთარ ტყუილებში აიხლართა ელისაშვილი და გამოსავალს ვერ პოულობსო, აცხადებს ეკა ბესელია. მზად ხართ ბოდიშის მოსახდელად?***

– ბესელიას ნათქვამზე საერთოდ არ ვაპირებ კომენტარს! თავის ტყუილებს და თავის თავს მიხედოს ეკა ბესელიამ!

***– რას ელოდებით ამ პროცესისგან?***

– ველოდები, რომ ნაზღაიძისნაირი მოსამართლე არ აღმოჩნდება ქალბატონი კუჭავა და მიიღებს ადეკვატურ გადაწყვეტილებას. მე არავისთან მაქვს ბოდიში მოსახდელი! ღმერთმა დამიფაროს, რომ მექრთამეებს ბოდიში მოვუხადო! დღეს ქვეყანაში ისე ვითარდება პროცესები, რომ მსგავსი არ მახსოვს.

***– კონკრეტულად რომელ პროცესებზე საუბრობთ?***

– სერიოზულად იზღუდება სიტყვის თავისუფლება, დამოუკიდებელი მედია! რასაც სააკაშვილი აკეთებდა, ზუსტად იგივეს აკეთებენ! ოღონდ ესენი უფრო იდიოტურად აკეთებენ! სააკაშვილსაც ეგონა, რომ მთავარი პრობლემა ტელევიზიები იყო და იქ გასული კრიტიკული სიუჟეტი და აზრი, რაც დიდი სისულელეა და კარგი იქნებოდა, ამ შეცდომებზე ახალ ხელისუფლებას მაინც ესწავლა. თუმცა ფაქტია, რომ ვერ სწავლობს და უარესებსაც აკეთებს!

იმის მაგივრად, რომ ყოველი კრიტიკული სიუჟეტის შემდეგ, ხელისუფლებამ თავის თავში ეძებოს პრობლემები, ჰგონია, რომ მედიაშია პრობლემები და მედია უქმნის მას პრობლემას. არც ერთი ხელისუფლების პრობლემა მედია არ არის.

***– ვინ უქმნის პრობლემებს ივანიშვილის ხელისუფლებას?***

– ხელისუფლების პრობლემა არის საკუთარი შეცდომები! მედია განახებს ამ შეცდომებს და შენ ეს უნდა გამოასწორო! „ქართული ოცნების“ პრობლემა ისევ და ისევ „ქართული ოცნებაა“ და სხვა არაფერი! საკუთარი უმაქნისობა და კორუფციის ჭაობში ჩაძირვა! როდესაც საკუთარ თავში პრობლემებს ვერ პოულობ, მერე ეძებ სადმე სხვაგან.

დღეს ივანიშვილს ჰგონია, რომ მედიაა მისი პრობლემა, არადა მთავარი პრობლემა მის გარშემო შემოკრებილი მექრთამეები და არაფრის მაქნისები არიან. იმის მაგივრად, რომ ეს ხალხი დაეფერთხა, ნორმალური ხალხი შემოეკრიბა და ქვეყნის განვითარებაზე ეფიქრა, ეძებს ჭინკებს, მაქციებს და კუდიანებს. მას წარმოდგენა არ აქვს კაცობრიობის ისტორიაზე და არც ქვეყნის უახლეს ისტორიაზე!

***– როგორ დაამთავრებს ივანიშვილი?***

– ივანიშვილი იმაზე უარესად დაამთავრებს, ვიდრე მისმა წინამორბედებმა დაამთავრეს, იმიტომ, რომ გაცილებით დიდი მოლოდინები იყო ივანიშვილისადმი, ვიდრე სხვის მიმართ! იმედგაცრუების ეტაპი უკვე გაიარა ქვეყანამ და ხალხმა და უკვე ძალიან სერიოზული აგრესიის ეტაპზე გადადის. აგრესიის ობიექტი იქნება ივანიშვილი და აქედან ვერ გაასწრებს! დაფიქრდეს ამაზე! ძალიან ცოტა დრო დარჩა ვითარების გამოსწორებისთვის!





**„ქართული ოცნების“ პრობლემა ისევ და ისევ „ქართული ოცნებაა“**

# „ვიღაცას უნდა, რომ საპატრიარქოს სკანდალი ივანიშვილს დაბრალდეს“

## ლადო სადღობელაშვილი: „ოცნებაში“ არის ძალა, რომელსაც ივანიშვილის რეიტინგის დაგდება სურს“

შორენა მარსაგიშვილი

რა ხდება საპატრიარქოში, ვინ არის ეკლესიის დასუსტებით დაინტერესებული, რითი დამთავრდება ეს დაპირისპირება? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.



**ლადო სადღობელაშვილი:**

– მთელი ეს დღეები თვალს ვადევნებ საპატრიარქოს ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს და სერიოზულად ვარ დაბნეული. კარგი რაღაც რომ არ ხდება, ამას ყველა ხვდება, მაგრამ საკითხავი ისაა, ვისი ინტერესები დგას ამ პროცესის უკან.

ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში კარგა ხანია მიმდინარეობს, მაგრამ ამან ღია სახე რამდენიმე თვის წინ მიიღო. სინოდის ბოლო სხდომის შემდეგ მონასტერი მართლაც სერიოზულად აირია.

***– მანამდე არ იყო არეული? ნაციონალების ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში სულ იმაზე მიდიოდა საუბარი, რომ ეკლესიის წინააღმდეგ მიდიოდა ბრძოლა.***

– მაშინაც სერიოზული ბრძოლა მიდიოდა, მაგრამ ამას ასეთი მასშტაბები არ მიუღია. სასულიერო პირები მაშინ ასე ღიად არ დაპირისპირებიან ერთმანეთს. პრობლემები ეკლესიის გარეთ არ გამოსულა.

დაახლოებით 2 თვის წინ ამაზე ღიად დაიწყო საუბარი. გარკვეულმა ძალებმა ნელ-ნელა დაიწყეს თემის მოშხამვა. პრესაში რამდენიმე მეუფის საწინააღმდეგო მასალა გამოქვეყნდა. ამბობდნენ, რომ ამის უკან სპეცსამსახურები იდგნენ. მეუფე პეტრე ღიად დაუპირისპირდა შორენა თეთრუაშვილს, მეუფე იაკობი კი – პატრიარქის დაცვის სამსახურის უფროსს.

***– სინოდის სხდომის შემდეგ ყველამ თქვა, რომ დაპირისპირება დასრულდა. რატომ მოხდა მისი ახალი ძალით განახლება?***

– ვერ გეტყვით. ირკვევა, რომ პატრიარქის დაცვის უფროსის ჩვენების საფუძველზე დააკავეს მამა გიორგი მამალაძე. აშკარაა, რომ რაღაც წრეა შეკრული, რომელსაც სუსის რაღაც მიმდინარეობა მართავს.

***– სუსის რაღაც მიმდინარეობა რას ნიშნავს?***

– სუსი ზოგადად ბიძინა ივანიშვილის დაქვემდებარებაშია, მაგრამ აქ თავისი ხალხი ჰყავს პრემიერსაც და ვიცე-პრემიერსაც. ამაში

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ბიძინა გუჯაბიძე: „საზოგადოებრივ მაუწყებელში რეფორმები ხისტი არ უნდა იყოს“

მარიამ მჭედლიშვილი

რამდენიმე აქტუალურ საკითხზე „ახალი თაობა“ საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის დეპუტატს, კონსერვატორების ფრაქციის წევრ ბიძინა გუჯაბიძეს ესაუბრა.

***— გრძელდება ხელისუფლების დადანაშაულება იმაში, რომ ის ახშობს ოპოზიციურ ტელეკომპანია რუსთავი 2-ს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, რუსთავი 2-ზე ახალი შეტევა დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველომ ევროპასთან ვიზალიბერალიზაცია გაინაღდა.***

— ეს განცხადებები ჩასაფრებული ხალხის მოსაზრებებია. ასეთ ბრალდებებს ხელისუფლებას უყენებენ ანგაჟირებული და არაობიექტური ადამიანები, ჟურნალისტები იქნებიან ისინი, ექსპერტები თუ პოლიტიკოსები. ეს ხალხი ელოდა, რომ ხელისუფლება ისევე მოიქცეოდა, როგორც სააკაშვილი მოიქცა ტელეკომპანია იმედში შეჭრისას. ეს ანგაჟირებული პირები ამას რამდენიმე თვის წინ აანონსებდნენ კიდეც. მათ კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ – ხელისუფლება არსად შეჭრილა.

ვიზალიბერალიზაციის მიბმაც გაუგებარია რუსთავი 2-ის თემასთან. რუსთავი 2-ის ძველი თუ ახალი დამფუძნებლები ერთმანეთს სასამართლოში ედავებიან. სასამართლო თვითონ წყვეტს, როდის დანიშნოს სხდომები.

***— ოპონენტების აზრით, ეს პოლიტიკური პროცესია და ხელისუფლება ებრძვის დამოუკიდებელ ტელევიზიას.***

— ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ მედიას არ ებრძვის. 2012 წლის შემდეგ მედია თავისუფალია. არც რუსთავი 2-ზეა არანაირი შეტევა. ამ ტელევიზიის დამოუკიდებელ და ობიექტურ მედიასაშუალებად გამოცხადება კი ღიმილის მომგვრელია. რუსთავი 2 იყო და არის სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ტელევიზია.

სააკაშვილის მმართველობის დროს ამ ვითომ ძალიან პრინციპულ არხს ერთი სიტყვაც არ დასცდენია იმ საშინელებებზე, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ახალგაზრდების ქუჩაში ხოცვით დაწყებული, სოციალური პრობლემებითა და მოქალაქეების წამებით დამთავრებული. ამიტომ მიმაჩნია, რომ რუსთავი 2-ის გენდირექტორი და მთელი კოლექტივი, რომელიც პოლიტიკასთან დაკავშირებულ გადაცემებს აკეთებს, შორსაა ობიექტურობისა და სამართლიანობისგან.

ამ ადამიანებმა შექმნეს ხელოვნური აჟიოტაჟი, რომელშიც ნაცმოძრაობა და მისი სატელიტი პარტიებიც მონაწილეობენ, თუმცა, ამ პოლიტიკოსებს ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არ გააჩნიათ.

## „ნაცმოძრაობას და მის სატელიტებს ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არ გააჩნიათ“

***— ხელისუფლებას აკრიტიკებენ საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესების გამო. არის მოსაზრება, რომ აქაც უნდათ განსხვავებული აზრის ჩახშობა.***

— ეს მოსაზრება აბსურდულია. საზოგადოებრივ მაუწყებელში მივიდა ახალი ადმინისტრაცია თავისი ხედვებით. ჩემი აზრით, ახალი ხელმძღვანელების პოზიცია რადიკალურია. იქ გასატარებელია რეფორმები, მაგრამ ისინი ასეთი ხისტი არ უნდა იყოს.

***— ესე იგი, საინფორმაციოს გარდა, ყველა გადაცემა არ უნდა გაჩერდეს?***

— ფაქტობრივად, იგეგმება მაუწყებლობის დახურვა. ჩემი აზრით, საზოგადოებრივი მაუწყებელი მთლიანად არ უნდა გაჩერდეს. მეორე მხარის პოზიციაა ყველაფრის ძველებურად დატოვება. არც ესაა სწორი. მოსაძებნია ოქროს შუალედი, რომელიც მისცემს საზოგადოებრივ მაუწყებელს განვითარების, მოდერნიზებისა და შენობის შეცვლის საშუალებას. ქვეყანასა და რეგიონში შექმნილ მძიმე სიტუაციაში არ იქნება მიზანშეწონილი უამრავი თანამშრომლის უმუშევრად დატოვება იმ დროს, როცა ისინი ბიუჯეტიდან კომპენსაციასაც ვერ მიიღებენ.

***— განაცხადეთ, რომ ნაცმოძრაობას ხელისუფლებაში მოსვლის შანსი არ გააჩნია. ამ დღეებში შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც, ნაცმოძრაობის გარდა, კიდევ 7 პარტია შევიდა. ეს საბჭო გაჩერებას არ აპირებს.***



— ეს ამ პარტიების ნებაა. ისინი აქტიურობის საბაბს და სამოქალაქო არეალს ეძებენ. მთავარი ისაა, რას მიაღწევენ. გაკოტრებული პოლიტიკოსები თავიანთ მომხრეებსაც ილუზიებში ამყოფებენ და სხვებსაც მცდარ წარმოდგენებს უქმნიან.

***— ბევრ საკითხში ნაცმოძრაობა და მისგან გამოყოფილი ევროპული საქართველო ერთ პოზიციაზე დგანან.***

— მათ თითქმის ერთნაირი იდეოლოგია აქვთ, თუმცა ახლა ისინი ნამდვილად გაყოფილები არიან. ასეთი ფაქტები ისტორიაში მომხდარა. ბოლშევიკები და მენშევიკები ერთმანეთს გაემიჯნენ, თუმცა ისინი, ბოდიში და, ერთი ნეხვის ნაწილებად დარჩნენ. მათი იდეოლოგია ყოველთვის ერთმანეთის მსგავსი იყო.

ნაცმოძრაობა და ევროპული საქართველო ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებიან. უბრალოდ, ერთ ნაწილს რადიკალური მოქმედებები უნდა, მეორეს – არჩევნების გზით ევროპულად სიარული. თუ მათ პოლიტიკურად გაქრობის საფრთხე დაემუქრათ, ერთმანეთთან საერთო ენას ისევ იპოვიან, ჯერჯერობით კი ერთმანეთში უთანხმოება აქვთ.

***— უცხოელი ლობისტებიც ჰყავთ.***

— ყოველ შემთხვევაში, ეს ლობირება არ იგრძნობა. სააკაშვილის დროს აშკარა იყო, რომ მისი ლობისტების წყალობით დასავლეთში თვალს ხუჭავდნენ რეპრესიებზე, რომელთაც სააკაშვილი ატარებდა და მის ავტორიტარულ მმართველობაზე. ეს ბევრი ადამიანისთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა.

***— „ქართულმა ოცნებამ“ მოახერხა დასავლეთთან ურთიერთობების დალაგება?***

— რამდენიმე დღის წინ აშშ-ში იმყოფებოდნენ საგარეო მინისტრი, ასევე პარლამენტის დელეგაცია. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციასთან ოფიციალური ურთიერთობები დამყარდა. მანამდე პაუზა იყო, თუმცა, კულუარული მუშაობა არ შეწყვეტილა. იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ვიზიტი კონკრეტულ ნაბიჯებშიც გამოიხატება, საქართველო-ამერიკის ურთიერთობა კი უფრო გაღრმავდება.

# „ვიღაცას უნდა, რომ საპატრიარქოს სკანდალი ივანიშვილს დაბრალდეს“

დასაწყისი მე-4 გვერდზე

განსაკუთრებული არაფერია. ეს ყველა ქვეყანაში ასე ხდება.

არც ის უნდა იყოს ვინმესთვის გასაკვირი, რომ პატრიარქის უსაფრთხოებას დაცვის სპეციალურ სამსახურთან ერთად სუსიც იცავს. სუსის წარმომადგენლები საპატრიარქოში ჩვეულებრივად დადიან. როგორც ჩანს, სუსის წარმომადგენლებსა და საპატრიარქოს ხალხს შორის რაღაც გაუგებრობა მოხდა, მერე ეს პრობლემა მოაგვარეს და ხელი მამა გიორგის შეაწმინდეს.

***— რატომ გგონიათ, რომ მას შეაწმინდეს ხელები ან ვის და რაში სჭირდებოდა ამის გაკეთება?***

— საგამოძიებო უწყება და ხელისუფლების წარმომადგენლები ისეთ განცხადებებს აკეთებენ, ძნელია, ეჭვები არ გაგიჩნდეს. მეუფე იაკობისა არ იყოს, ის მაინც გვითხრან, ვისი დავალებით ან ვისთან ერთად აპირებდა რაღაცის გაკეთებას მამა გიორგი. იმაზეც უნდა გაეცეს პასუხი, რაღა გერმანიაში მიჰქონდა ციანიდი, რამის გაკეთება რომ სდომნოდა, საქართველოში ვერ გააკეთებდა?

საპატრიარქოში საქმე კარგად რომ არ არის, ფაქტია, მაგრამ ეს სპექტაკლი ძალიან უნიჭოდ არის დადგმული. მისი დამდგმელები, შესაძლოა, უხერხულობაში ჩავარდნენ.

მტკიცების ფორმით არ მინდა ამაზე საუბარი, მაგრამ ყველაფერი იქით მიდის, რომ ბიძინა ივანიშვილს შეაწმინდონ ხელი.

***— ივანიშვილს რაზე უნდა შეაწმინდონ ხელი?***

— იმაზე, რაც საპატრიარქოში ხდება. ხელისუფლებაში არის ხალხი, ვისაც უნდა, რომ ეს ყოფილ პრემიერს დაბრალდეს.

***— მას რატომ უნდა დაბრალდეს? საპატრიარქოში რომ რაღაც ხდება, ეს ყველასთვის ისედაც ნათელია.***

— საპატრიარქოში რაღაცა რომ ხდება, ამაზე არც მე ვდაობ, მაგრამ როცა ეს პროკურატურის და სუსის დონეზე ადის, აშკარაა, რომ სულ სხვა რაღაცასთან გვაქვს საქმე.

პროკურატურა ამ საქმეზე რაღაც გაუგებრობებს ლაპარაკობს, იმასაც არ ასახელებს, ვისი მოწამვლა იგეგმებოდა. მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ციანიდი შორენა თეთრუაშვილისთვის იყო განკუთვნილი. ამ დროს ქოცები გამოვარდნენ და ერთ ხმაში გაიძახიან, მიშა პატრიარქს წამლავდაო. იგივე ლოგიკით გამოვარდებიან ნაცები და იტყვიან, რომ ამის უკან ივანიშვილი დგას.

მე არც ერთი ვერსიის მჯერა და არც მეორის, მაგრამ ვინც იმედს და რუსთავი 2-ს უყურებს, იფიქრებს, რომ ამის უკან ან მიშა დგას, ან ბიძინა. ეს ყველაფერი შეგნებულად გაკეთდა, ამით საპატრიარქოს რეიტინგიც დაეცა, ბიძინას იმიჯიც შეილახა, მიშაზე აღარაფერს ვამბობ.

თავში გითხარით, რომ ამ ყველაფრისთვის ნიადაგის მომზადება დაიწყო. რამდენიმე მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თითქოს არსებობდა რაღაც ჩანაწერი, სადაც ბიძინა ივანიშვილი პატრიარქზე საუბრობდა.

***— ივანიშვილს ეკლესიასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია ღიად აქვს დაფიქსირებული. პრემიერობის დროს ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე თქვა, რომ ეკლესიაში მიმდინარე მოვლენები უნდა გაშუქდეს. მაშინ არ ატეხილა ასეთი ამბავი და რაღა ამ მითიურმა ჩანაწერმა გააჩინა ეჭვი?***

— ამ განცხადებაში განსაკუთრებული მართლაც არაფერია. საზოგადოებამ მართლაც უნდა იცოდეს, რა ხდება ეკლესიაში. სატელეფონო საუბართან დაკავშირებით კი ისე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეჭვი ბუნებრივად ჩნდება. ჩემთვის საეჭვო ისაა, რომ საპატრიარქოს სკანდალი ამ ინფორმაციის გაჟღერებიდან ცოტა ხანში აგორდა.



***— პატრიარქი ბერლინში რომ არ წასულიყო, მაინც აგორდებოდა ეს სკანდალი?***

— აუცილებლად აგორდებოდა, რადგან ეს გეგმა დაწერილი იყო. საპატრიარქოში დღეს ბევრი ბიზნესმენის ინტერესი იკვეთება. ამ ხალხმა მთელი ქვეყანა გადაძოვა, ახლა საპატრიარქოს მიაწყდნენ, რომ იქიდანაც დაითრიონ რაღაცები. არც ისაა გამორიცხული, ამ სკანდალში მათი ხელიც ერიოს.

ძალიან ძნელია ჩემთვის ამ თემაზე საუბარი, მაგრამ აშკარაა, რომ საპატრიარქოში დიდი დაპირისპირებაა. ისიც თვალშისაცემია, რომ ერთმანეთს სააკაშვილთან დაახლოებული სასულიერო პირები და სხვა დანარჩენები დაუპირისპირდნენ. დაცვის უფროსის სახით ამ დაპირისპირებაში სუსიც ჩაერთო. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ნაციონალების მხარდამჭერები უეცრად დაცვის უფროსის მხარეს გადავიდნენ. ეს ყველაფერი იხლართება იმის გამო, რომ ხელი შეეწმინდოს ბიძინა ივანიშვილს. „ოცნებაში“ უკვე აქტიურად ცდილობენ მის ჩაჩოჩებას.

***— ვინ ცდილობს მის ჩაჩოჩებას?***

— გასვრილი ხალხი, ვისაც ივანიშვილის გასვრის ხარჯზე თეთრ ცხენზე ამხედრება სურს.

***— გამორიცხავთ იმას, რომ ამ ყველაფრის უკან ყოფილი ხელისუფლება იდგეს?***

— ნაციონალებს ამის თავი სადღა აქვთ. ეს 2 წლის წინ რომ ყოფილიყო, კიდევ ვიფიქრებდი რაღაცას, მაგრამ ახლა ეს გამორიცხულია.

ამ დღეებში სოციალურ ქსელში არაერთი პოსტი მომხვდა თვალში, სადაც ეწერა, რომ ყველაფერი ბოკერიას სტილშია გაკეთებული.

ეს აზრიც წინასწარ შეამზადეს. ბოლო რამდენიმე კვირის მანძილზე ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი საიტები რამდენიმე წლის წინ დაწერილ სტატიებს ატრიალებდნენ. თვალში მომხვდა ერთი მათგანი, რომელსაც ასეთი სათაური აქვს – „ვინ დაგეგმა ოპერაცია 2 პატრიარქი“. იქ წერია, რომ ბოკერიას საპატრიარქოს ორად გაყოფის გეგმა ჰქონდა შემუშავებული.

ბოკერიას არ ვიცავ, მაგრამ ასეთი გეგმა რომ ჰქონოდა, 9 წლის მანძილზე რაღაცას მოაწყობდა. ამ პროცესების უკან ის არ დგას და დაანებონ თავი რაღაცების მოგონებებს. იმდენს მაინც უნდა ხვდებოდნენ, რომ ასეთი ინფორმაციის გავრცელება მათ ინტერესში არ არის. რა გამოდის – ესენი ხელისუფლებაში არიან და ბოკერია აწყობს რაღაცებს? ეს ჭორი, პირველ რიგში, ივანიშვილისთვის არის საზიანო.

***— ივანიშვილისთვის რატომ არის საზიანო?***

— იმიტომ, რომ დღეს ბოკერიას ივანიშვილი მფარველობს. მისი ფლანგის გასაძლიერებლად გამოაშვებინა ყოფილმა პრემიერმა უგულავა ციხიდან. ივანიშვილის ადგილზე მე აქტიურად დავინტერესდებოდი, თუ რა ხდება საპატრიარქოში და იმას გავარკვევდი, ვინ დგას ამის უკან.

მე იმას ვეტყვი, რომ „ოცნებაში“ არის ძალა, რომელსაც მისი რეიტინგის დაგდება უნდა. ამ თემით მისი იმიჯი სერიოზულად შეილახება, რის შემდეგაც ის დაჯგუფება „ოცნებას“ გამოყოფა და ცალკე თამაშს დაიწყებს.

## უჩა ნანუაშვილი: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ნიკა გვარამიას უფლება იყოს დაცული“

საქართველოს სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორის უფლება დაცული უნდა იყოს.

მისი თქმით, რუსთავი 2-ის პროცესი კითხვის ნიშნებს ყოველთვის აჩენდა და დღემდე აჩენს.

– ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ნიკა გვარამიას უფლება იყოს დაცული. მას აქვს უფლება, სწორედ სასამართლოში მისცეს ჩვენება და, შესაბამისად, თუკი ის ამას ითხოვს, რა თქმა უნდა, ეს უნდა დაკმაყოფილდეს, – განაცხადა უჩა ნანუაშვილმა.



# გაძვირდება თუ არა პური?



**პურის ტექნიკური რეგლამენტი, რომლის შემოღებაზეც ამდენი ხანია საუბრობენ, ოფიციალურად ჯერ კიდევ არ დამტკიცებულა. თუმცა უკვე აქტიურად მოქმედებს ხორბლის ფქვილის რეგლამენტი.**

ჩვენ შევეცადეთ გაგვერკვია, რა ეტაპზეა ამჟამად პროექტი და როგორ იმოქმედებს პურის ფასზე რეგლამენტის შემოღება.

როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ქეთევან ლაფერაშვილმა ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას განაცხადა, ოფიციალური დოკუმენტი ჯერ არ არის დამტკიცებული, მაგრამ ბევრი საკითხი, რომელსაც პურის ტექნიკური რეგლამენტი უნდა აგვარებდეს, სხვადასხვა ნორმატიული აქტით რეგულირდება.

– ფქვილის რეგლამენტი მთავრობის დადგენილებით უკვე ძალაშია შესული. რაც შეეხება პურის ტექნიკურ რეგლამენტს, მისი პროექტი უკვე მზად არის. მართალია, მთავრობის დადგენილებით ჯერ დამტკიცებული არ არის, მაგრამ პურის ხარისხი მაინც კონტროლდება მოქმედი კანონმდებლობით, განსაკუთრებით, ეტიკეტირების წესით, რომელიც პურის ხარისხისა და შემადგენლობის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, – განაცხადა ქეთევან ლაფერაშვილმა.

მნიშვნელოვანი რეგულაციაა ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტიც, რომლის მიღების შემდეგ სავალდებულო გახდა იმის მითითება, თუ რომელი ხარისხის ფქვილით არის პური გამომცხვარი.

– თუ რამდენიმე სახეობის ფქვილის კუპაჟია გამოყენებული, მაშინ აუცილებლად უნდა იყოს მითითებული, რომელი ხარისხის ფქვილია ეს. მომხმარებელმა სწორი და უტყუარი ინფორმაცია უნდა მიიღოს პურთან დაკავშირებით, – აღნიშნა ქეთევან ლაფერაშვილმა.

ფქვილის რეგლამენტის შემოღების შემდეგ მეხორბლეთა საქმიანობაში ბევრი არაფერი შეცვლილა, გვითხრა საქართველოს მეხორბლეთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ლევან სილაგავამ.

– მეხორბლეების საქმიანობა ისედაც ამ პრინციპებზე იყო აგებული. ხორბლის ფქვილის რეგლამენტი განსაზღვრავს პურის ხარისხსაც. ამიტომ, ეს არის ჩვენი სამუშაო დოკუმენტი როგორც ტექნოლოგიურად, ასევე ტრანსპორტირების მხრივ. ადრე, თუ ვინმე სათანადოდ არ მუშაობდა და ფქვილის ხარისხს ყურადღებას არ აქცევდა, შეიძლება დაუსჯელი დარჩენილიყო. დღეს კი, სურსათის ეროვნულ სააგენტოს პირდაპირი წესით შეუძლია შეამოწმოს ყველაფერი, პირველ ეტაპზე რეკომენდაციები მოგვცეს, მერე კი სანქციებიც გამოიყენოს, – განაცხადა ლევან სილაგავამ.

მისი თქმით, ფქვილის რეგლამენტის შემოღების გამო მეხორბლეებს ზედმეტი ხარჯი არ გაუღიათ.

– ფინანსური დანახარჯები არ გვქონია, ამიტომ ჩვენი პროდუქციის გაძვირებასაც არ ვაპირებთ. ამასთან, კარგია, თუ ლარიც გამყარდება, რადგან ფქვილის მწარმოებლები პირდაპირ არიან დამოკიდებული ვალუტის კურსზე.

ამჟამად 1 ტომარა პირველი ხარისხის ფქვილი 37-38 ლარი ღირს და ეს საკმაოდ მისაღები ფასია მეპურეებისთვისაც. მართალია, ფქვილი პურის მთავარი კომპონენტია, მაგრამ პურის ცხობას კიდევ ბევრი რამ სჭირდება: თუნდაც მარილი, ან საფუარი, რომელიც იმპორტირებულია. კარგია, რომ სემეკმა არც ელექტროენერგია გააძვირა და არც – წყალი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, პური მართლაც გაძვირებულიყო, – აღნიშნა ლევან სილაგავამ.

– პურის რეგლამენტის შემოღების შემთხვევაში მოიმატებს თუ არა პურის ფასი?

ეს შეკითხვა მე-4 პურის ქარხნის დირექტორს, პურპროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელ მალხაზ დოლიძეს დავუსვით.

– მიუხედავად იმისა, შემოიღებენ თუ არა პურის რეგლამენტს, ახლო მომავალში პურის გაძვირებას არ ვაპირებთ. ჩვენი ნაწარმი არც აქამდე გაგვიძვირებია, რადგან პურზე ფასების ხშირი ცვლა არ შეიძლება. უფრო მეტიც, ქვეყნის სტაბილურობის მთავარი ნიშანი სწორედ პურის ფასია.

თბილისში 2 ათასამდე პურის მწარმოებელია, ყოველ ნაბიჯზე თონეებია, შეიძლება ვიღაცამ ფასს მოუმატა, მაგრამ მასობრივი ხასიათი ამას არ ჰქონია, – ამბობს მალხაზ დოლიძე.

მალხაზ დოლიძის თქმით, ბოლო ხანებში ლარი კი გამყარდა, მაგრამ უმნიშვნელოდ და ეს არც ერთ ნედლეულს არ დატყობია.

– თუ ლარი კიდევ უფრო გამყარდება, ეს ჩვენთვის დიდი შეღავათი იქნება, მაგრამ პროდუქციის გაიაფებაზე ლაპარაკი ცოტა რთულია. ზოგს ჰგონია, რომ მეპურეებს ძალიან დიდი მოგება რჩებათ, მაგრამ სინამდვილეში ასე არ არის, – აცხადებს პურპროდუქტების ასოციაციის ხელმძღვანელი.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# მამუკა ხაზარაძე: „ონლაინ სესხებს მკაცრი რეგულირება სჭირდება“



თიბისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ხაზარაძე მიიჩნევს, რომ ონლაინ სესხებს მკაცრი რეგულაცია სჭირდება.

ამის შესახებ ხაზარაძემ ბიზნესკონტრაქტთან საუბრისას განაცხადა, როდესაც ამ მიმართულებით ბანკის გეგმების შესახებ ვკითხეთ.

– იმას, რაც დღეს ონლაინ სესხებთან დაკავშირებით ხდება, რა თქმა უნდა, არ გავაკეთებთ, რადგან ეს სწორი არ არის. სესხის გაცემას გავაადვილებთ, ბუნებრივია, მაგრამ არა ისე და იმ პროცენტებით...

ვფიქრობ, ყველამ უნდა გაიგოს, ონლაინ სესხი რა არის – ეს არის ძალიან მაღალპროცენტიანი სესხი და მისი ხიბლი იმაშია, რომ ვითომ 5 წუთში გიმტკიცდება, მაგრამ ადამიანი ვერ გრძნობს, ეს რამხელა პროცენტზეა გათვლილი. საბოლოო ჯამში, ძალიან ბევრი ადამიანი უბედურდება.

ჩემი აზრით, ამას მკაცრი რეგულირება სჭირდება, რადგან საბოლოო ჯამში, ეს ყველას მაინც ბანკი ჰგონია. ადამიანები 100, 200 ან 1.000 ლარს იღებენ ონლაინ სესხით და იმ შედეგებზე არ ფიქრობენ, რომელიც ამას მოჰყვება. ამას მკაცრი რეგულირება სჭირდება, რომ გაიმიჯნოს, – აცხადებს ხაზარაძე.

**ბიზნესკონტრაქტი**

# იანვარში საარსებო მინიმუმი 1 ლარითა და 80 თეთრით გაიზარდა



საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი მიმდინარე წლის იანვარში 147 ლარითა და 30 თეთრით განისაზღვრა, რაც წინა თვის მონაცემზე 4 ლარითა და 20 თეთრით მეტია.

საქსტატის მონაცემებით, გასული წლის იანვართან შედარებით ეს მაჩვენებელი 1 ლარითა და 80 თეთრით მეტია.

საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმმა 2017 წლის იანვარში 278 ლარი და 90 თეთრი შეადგინა, რაც დეკემბრის თვის მაჩვენებელზე 7 ლარითა და 90 თეთრით მეტია, წინა წლის ამავე პერიოდის მონაცემზე კი – 3 ლარითა და 40 თეთრით მეტი.

საქსტატის მონაცემებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმმა მიმდინარე წლის იანვარში 166 ლარი და 30 თეთრი შეადგინა, რაც წინა თვის მონაცემზე 4 ლარითა და 70 თეთრით მეტი, ხოლო გასული წლის ამავე მაჩვენებელზე 2 ლარითა და 10 თეთრით მეტია.

ოჯახის ტიპების მიხედვით საარსებო მინიმუმი ნოემბრის თვეში ასე გადანაწილდა:

ერთსულიანი ოჯახი – 147 ლარი 30 თეთრი

ორსულიანი ოჯახი – 235 ლარი და 60 თეთრი

სამსულიანი ოჯახი – 265 ლარი და 10 თეთრი

ოთხსულიანი ოჯახი – 294 ლარი და 50 თეთრი

ხუთსულიანი ოჯახი – 331 ლარი და 40 თეთრი

ექვსსულიანი ოჯახი – 391 ლარი და 70 თეთრი.

2004 წლიდან საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

# აპრილიდან მეტროსადგურ სარაჯიშვილთან დიდი მშენებლობა იწყება



მეტრო სარაჯიშვილის მიმდებარე ტერიტორიაზე თანამედროვე სტანდარტების ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობა, სავარაუდოდ, აპრილიდან დაიწყება.

პროექტს „გრაპა კაპიტალი“ ახორციელებს. კომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი მინდია გურგენიძე რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, რომ მშენებლობისთვის მერიისგან ნებართვას ელოდებიან და პროცესი აპრილის დასაწყისისთვის უნდა დასრულდეს.

პროექტის მიხედვით, საუბარია 43 ათასი კვადრატულ მიწის ფართობზე, ტერიტორიაზე 10 – 24 სართულიანი, 3 – 27 სართულიანი და 1 – 39 სართულიანი შენობა აშენდება. დაგეგმილია საბავშვო ბაღის, ფიტნეს ცენტრის, აუზების, ჩოგბურთის კორტების, ფეხბურთის და კალათბურთის მოედნების მოწყობა.

გურგენიძის თქმით, ეზოს ტერიტორია 26 ათას კვადრატზე განვითარდება, იქნება ბავშვთა გასართობი ადგილები, პარკები, ტერიტორიის ირგვლივ კი 1,2 კილომეტრზე სარბენი ბილიკი და ველო ბილიკი განთავსდება.

მისივე თქმით, პარკინგის მოწყობა მიწისქვეშ არის გათვალისწინებული, განიხილება ცალკე ტერიტორიის შეძენა, სადაც ასევე საპარკინგე სივრცე იქნება.

„გრაპა კაპიტალის“ პროექტის მიხედვით, საცხოვრებელი ზონა სარაჯიშვილის მეტროს საფეხმავლო ხიდით დაუკავშირდება.

თითოეული კორპუსის პირველი 3 სართული კომერციულ ფართებს ეთმობა, 39 სართულიანი შენობა კი მთლიანად საოფისედ და სასტუმროსთვის არის განკუთვნილი.

პროექტის დასრულების თარიღი 2020 წელია. საინვესტიციო ღირებულება კი 120 მილიონ დოლარს შეადგენს.

**სალომე სოსელია, კომერსანტ.გე**

# „ვიზეარი“ ქუთაისიდან დიდ ბრიტანეთში 105 ლარად იფრენს




„ვიზეარი“ ქუთაისიდან დიდი ბრიტანეთის მიმართულებით პირდაპირი ავიარეისის შესრულებას იწყებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, ავიარეისების ოპერირება 18 ივნისიდან დაიწყება, კვირაში ორი სიხშირით, ყოველ ხუთშაბათს და კვირას.

ყველა ავიარეისი სრულდება 180 ადგილიანი „აირბას ა320“ და 230 ადგილიანი „აირბას ა321“ ტიპის საჰაერო ხომალდებით.

კომპანიის ინფორმაციით, მგზავრებს უკვე შეუძლიათ ავიაბილეთების შეძენა ავიაკომპანიის საიტზე 105.99 ლარიდან.

როგორც აეროპორტების გაერთიანებაში აცხადებენ, დაბალბიუჯეტური ავიარეისი ხელს შეუწყობს საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის ტურისტული, სავაჭრო და საქმიანი ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავებას და შესანიშნავი არჩევანია როგორც ტურისტული, ასევე ბიზნესმგზავრებისთვის.

– რეგიონის მიმართ ჩვენი ინტერესის გათვალისწინებით, კვლავაც გავაგრძელებთ ნაყოფიერ თანამშრომლობას ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტთან და სამომავლოდ ქართველ მგზავრებს, მათი მოთხოვნების გათვალისწინებით, შევთავაზებთ კიდევ უფრო მეტ საინტერესო შესაძლებლობას, – განაცხადა „ვიზეარის“ კომუნიკაციების მენეჯერმა სორინა რაციმ.

# ენგურჰესი მუშაობას 4–5 დღეში შეაჩერებს

ენგურჰესი მუშაობას 4-5 დღეში შეაჩერებს.

როგორც ჰესის დირექტორი ლევან მებონია ბიზნესკონტრაქტთან საუბრისას აღნიშნავს, შეჩერების ზუსტი რიცხვი წყალსაცავში წყლის დონეზეა დამოკიდებული, მისი სრულად დაცლის შემდეგ კი ენგურჰესი მუშაობას დაახლოებით 2 კვირით შეაჩერებს.



როგორც მებონია აცხადებს, სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ენგურჰესზე უსაფრთხოების ნორმები გაუმჯობესდება, გარკვეული დოზით მოიმატებს ელექტროენერგიის გამომუშავებაც.

მისივე განცხადებით, 2 კვირით მუშაობის შეჩერება დეფიციტს ან მსგავს პრობლემას არ გამოიწვევს.

ენგურჰესის ტექნიკური სამუშაოებისთვის ჰესს სესხი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა გამოუყო.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# პროკურატურამ მაია რჩეულიშვილს კიდევ ერთი ბრალი წაუყენა

მთავარმა პროკურატურამ შპს „ცენტრ-პოინტ ჯგუფის“ დამფუძნებელი და დირექტორი მაია რჩეულიშვილი და შპს „დილომი დისტრიქთ აფართმენთის“ საორგანიზაციო განყოფილების ყოფილი უფროსი ქეთევან ჟორდანია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა.

საქმე დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დაუფლების ფაქტს ეხება.

გამოძიება „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს 236 177 ლარის მითვისებას ედავება.

პროკურატურა აცხადებს, რომ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2014 წლის ბოლოს, შპს „დილომი დისტრიქთ აფართმენთ“-ის დირექტორი მაია რჩეულიშვილი, მენაშენეთა კუთვნილი დიდი ოდენობით თანხების მოტყუებით დასაუფლებლად, შეუთანხმდა ამავე საზოგადოების საორგანიზაციო განყოფილების უფროს ქეთევან ჟორდანიას, რათა ეს უკანასკნელი დაკავშირებოდა შპს „დილომი დისტრიქთ აფართმენთის“ მშენებარე ობიექტების მენაშენეებს და იმ მოტივით, თითქოს მათი ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის და მშენებარე ობიექტზე კომუნიკაციების შესაყვანად საჭირო იყო დამატებითი თანხების მობილიზაცია, მოეთხოვა თითოეული მათგანისთვის 1.870 ლარის გადახდა.

მაია რჩეულიშვილის დავალების შესაბამისად, ქეთევან ჟორდანია დაუკავშირდა ობიექტის მენაშენეებს, მოსთხოვა მათ და 2014-2016 წლების განმავლობაში შეატანინა ჯამში 258.092 ლარი, საიდანაც მიზნობრიობით, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისთვის გადარიცხული იქნა მხოლოდ 21.915 ლარი, ხოლო დარჩენილ თანხას, 236.177 ლარს, ქეთევან ჟორდანიას დახმარებით დაეუფლა მაია რჩეულიშვილი.

– მიუხედავად იმისა, რომ მაია რჩეულიშვილს ბრალდების ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე აღკვეთის ღონისძიებად შეფარდებული ჰქონდა გირაო 250.000 ლარის ოდენობით და მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმე 2014 წლის ნოემბერში წარიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოში, მან კვლავ განაგრძო მოქმედება მენაშენეთა კუთვნილი თანხების მოტყუებით დასაუფლებლად და ეპიზოდი, რის გამოც მას წარედგინა ბრალდება, ჩადენილია გირაოში ყოფნის პერიოდში.

მაია რჩეულიშვილის და ქეთევან ჟორდანიასთვის წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახედ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ექვსიდან ცხრა წლამდე ვადით, – ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

---

მაია რჩეულიშვილმა მისთვის ახალი ბრალის წაყენება წინასწარი პატიმრობის 9-თვიანი ვადის ამოწურვას დაუკავშირა.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლისა და ხელმძღვანელის ადვოკატმა მარიამ ცუცქირიძემ განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, მაია რჩეულიშვილს ახალი ბრალი ოფიციალურად 15 თებერვალს, პენიტენციურ დაწესებულებაში წაუყენეს.

– რა თქმა უნდა, ბრალს არ აღიარებს. ნამდვილად ვფიქრობთ, რომ ეს ახალი ბრალი 9-თვიანი პატიმრობის ვადის ამოწურვას უკავშირდება. ალბათ, პროკურატურა მოითხოვს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდებას და ამით გააგრძელებს მაია რჩეულიშვილის პატიმრობას კიდევ 9 თვით, – განაცხადა



მარიამ ცუცქირიძემ.

მაია რჩეულიშვილს ბათუმის მაგნოლიას ეპიზოდზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის 9-თვიანი ვადა მარტში ეწურება.

## 100 გრამამდე ნედლი მარიხუანას პირადი მოხმარებისთვის შეძენა-შენახვაზე საპატიმრო სასჯელი გაუქმდა



საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა ბოლნისის რაიონული სასამართლოს წარდგინებაში მითითებული მოთხოვნა და ძალადაკარგულად ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის გამოყენების შესაძლებლობას 100 გრამამდე ნედლი მარიხუანის პირადი მოხმარების მიზნით შეძენისა და შენახვისთვის.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით იხელმძღვანელა ბექა წიქარიშვილის საქმეზე 2015 წლის 24 ოქტომბერს გამოტანილი გადაწყვეტილებით.

## გივი თარგამაძე: „ჩვენ გვაქვს დაუსჯელი ტერაქტი“

– ამ წუთისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გვაქვს დაუსჯელი ტერაქტი.

ამის შესახებ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა გივი თარგამაძემ თბილისის პროკურატურიდან გამოსვლის შემდეგ განაცხადა.

როგორც თარგამაძემ აღნიშნა, მისი მანქანის აფეთქების საქმეზე, მასალების გაცნობის შემდეგაც სიახლე არაფერი გაუგია და მთავარი კითხვები, რაც არსებობდა, კვლავ პასუხგაუცემელი რჩება.

– პირველი კითხვა ისმის კვალიფიკაციასთან მიმართებაში. იმ ვითარებაში, როდესაც დაზიანებულია 11 ავტომანქანა, არის 7 დაზარალებული, მათ შორის ერთი მძიმედ, როდესაც აფეთქება მოხდა შეგნებულად ხალხმრავალ ადგილას და როდესაც ასაფეთქებელ მოწყობილობაში ჩამონტაჟებულია მეტალის ნაწილები, რაც მიუთითებს პირის განზრახვაზე, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი დაზიანდეს, სხვა რას შეიძლება ვუწოდოთ ტერორისტული აქტი თუ არა ამას?



ამაზე ჩვენ არათუ პასუხს ვერ ვიღებთ, საერთოდ სიჩუმე გვხვდება, რაც გულისხმობს, რომ ასე გადაწყვიტა ვიღაცამ, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

მისივე თქმით, პროკურატურას არ აქვს დამაჯერებელი პასუხი იმაზე, დატოვეს თუ არა საქართველო დავით ხეჩუაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა.

თარგამაძის განცხადებით, ხეჩუაშვილის მიერ საზღვრის კვეთის დამადასტურებელი მტკიცებულება ამ ეტაპზე არ არსებობს.

– ჩვენ ასევე ვერ ვიღებთ პასუხს იმაზე, თუ როდემდე გაგრძელდება წინასასამართლო ვადა. ახლა გაგრძელებულია აპრილამდე. ვვარაუდობ, რომ შუა ზაფხულს შეიძლება გადაეცეს საქმე სასამართლოს. ამ გამოძიებაში არაფერი სანუგეშო არ არის.

თუ ამას მივათვლით მეორე საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებას, ამ წუთისთვის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ გვაქვს დაუსჯელი ტერაქტი. სულ სხვა არის რომელიმე პირის, თუნდაც პოლიტიკოსის მკვლელობის მცდელობა, რომელიც გაუხსნელია და სულ სხვა ზიანის მომტანია ხელისუფლებისთვის გაუხსნელი ტერაქტი, – განაცხადა გივი თარგამაძემ.

## ვაზისუბანში გაზის გაჟონვის შედეგად მამაკაცი გარდაიცვალა




ვაზისუბნის მიკრორაიონში ბუნებრივი აირის გაჟონვის შედეგად 31 წლის მამაკაცი გარდაიცვალა.

ბინაში უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა 16 წლის ბიჭიც, რომელიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სსკ-ის 240-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაზის ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს.

## ნუცუბიძეზე სახლში დედა-შვილის ცხედრები იპოვეს




ნუცუბიძის ქუჩაზე დედა-შვილი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

დედა-შვილის გარდაცვალება, წინასწარი ვერსიით, ბუნებრივი აირის გაჟონვამ გამოიწვია,

შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ, პირველადი დათვალიერებით, ცხედრებზე დაზიანების კვალი არ აღინიშნება.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა მოსამართლის გამოსაცდელი სამწლიანი ვადა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და არაკონსტიტუციურად ცნო „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის 41 პუნქტის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე იმ პირის განმწესებას 3 წლის ვადით, რომელიც არის ყოფილი ან მოქმედი მოსამართლე და აქვს სამოსამართლო საქმიანობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

სადავო ნორმა ითვალისწინებს სააპელაციო და რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განმწესებამდე პირის მოსამართლედ განმწესებას 3 წლის ვადით, რომლის გასვლის შემდეგ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მისი მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განმწესების შესახებ.

საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირების მიმართ, რომელთაც უკვე აქვთ 3-წლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილება და ობიექტურად შესაძლებელია მათი საქმიანობის შესწავლა, სადავო ნორმით განსაზღვრული ვადის დამატებით დაწესება, ზედმეტ, დაუსაბუთებელ ბარიერად იქნა მიჩნეული და არაკონსტიტუციურად გამოცხადდა საქართველოს კონსტიტუციის 29-ე მუხლის პირველ პუნქტთან მიმართებით.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსამართლეთა თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნის მიზნებისთვის არანაკლებ 3-წლიანი სამოსამართლო საქმიანობის გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატები და ის კანდიდატები, რომელთაც ასეთი გამოცდილება არ გააჩნიათ, არსებითად უთანასწორო პირებს წარმოადგენენ. სადავო ნორმა განსაზღვრული ვადით მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის საერთო წესის დადგენით მათ



თანასწორად ეპყრობა ამის ობიექტური საჭიროების გარეშე და, ამდენად, ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლით გარანტირებულ თანასწორობის უფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლომ არ გამორიცხა, რომ რიგ შემთხვევებში, თუ მოსამართლის საქმიანობის განხორციელებიდან ხანგრძლივი ვადაა გასული, ან სხვა ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე, მისი წარსული საქმიანობის შეფასება შეუძლებელი ან რთულად განსახორციელებელი იყოს.

ამასთანავე, მოსამართლეობის კანდიდატის წარსული საქმიანობის შეფასების განხორციელება საჭიროებს სათანადო წესის საკანონმდებლო რეგლამენტაციას.

შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონმდებელს უნდა მიეცეს გონივრული ვადა, რათა მან შეასრულოს მისი კონსტიტუციური ვალდებულება და შეიმუშაოს ისეთი საკანონმდებლო მოწესრიგება, რომელიც უზრუნველყოფს, ერთი მხრივ, დაცული იყოს პირის კონსტიტუციური უფლებები, ხოლო, მეორე მხრივ, არ მოხდეს საჯარო ინტერესის დაზიანება. კერძოდ, გამოირიცხოს იმის რისკი, რომ მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ განმწესდნენ ამისთვის შეუსაბამო კანდიდატები.

– აღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2017 წლის 1 ივლისიდან, – აღნიშნულია საკონსტიტუციო სასამართლოს განცხადებაში.

## შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვისაც დაინერგება

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით, არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე შინაპატიმრობა, რომელიც ახლა მხოლოდ არასრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის მოქმედებს, სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვისაც დაინერგება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროდან აცნობეს, აღნიშნულ ნოვაციას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი ითვალისწინებს, რომელიც დღეს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე განიხილეს.

უწყების ინფორმაციით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი კახა კახიშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ სიახლეზე მუშაობის პროცესში შესწავლილი იქნა ევროპული,



ასევე, აშშ-ის გამოცდილება. გადაწყდა, რომ ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პირებისთვის შემოღებული იქნეს შინაპატიმრობა, რომელიც აღსრულდება ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით. შინაპატიმრობა შესაძლოა, პირს ექვსი თვიდან 2 წლამდე ვადით შეეფარდოს.

– ერთი მხრივ, ამით მსჯავრდებულს გავაკონტროლებთ, მეორე მხრივ, მას საშუალებას მივცემთ არ მოწყდეს საკუთარ ოჯახს ისე მოიხადოს სასჯელი. არსებობს მთელი რიგი დანაშაულებისა, როცა აუცილებელი არ არის საპატიმრო სასჯელის გამოყენება. ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ვაკონტროლოთ კრიმინოგენური სიტუაცია ქვეყანაში და ასევე იმაზე, რომ განიტვირთოს ციხეები. ამის მიზანია პირის გარემოსთან მეტად ინტეგრირება, – აცხადებს მინისტრი.

გარდა ამისა, მსჯავრდებულთა პირობით ვადამდე გათავისუფლების ადგილობრივ საბჭოს საშუალება მიეცემა საპატიმრო სასჯელი პირს, განსაზღვრული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, უფრო მსუბუქი სახის სასჯელით – შინაპატიმრობით შეუცვალოს. ამ შემთხვევაშიც, შინაპატიმრობა ელექტრონული მონიტორინგის საშუალებებით აღსრულდება.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# ტრამპი: „რუსეთმა ყირიმი უკრაინას უნდა დაუბრუნოს“

თეთრი სახლის წარმომადგენელმა სონ სპეისერმა განაცხადა, რომ ტრამპს რუსეთთან მეგობრობა სურს, მაგრამ საამისოდ მოსკოვმა რიგი ნაბიჯები უნდა გადადგას.

– რუსეთმა უნდა შეწყვიტოს ომი დონბასში, ყირიმი კი უკრაინას დაუბრუნოს, – განაცხადა სპეისერმა.

თეთრი სახლის წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ-ის წინა ადმინისტრაციისგან განსხვავებით, ტრამპი რუსეთის მიმართ კეთილადაა განწყობილი და ყველაფერს იღონებს, რომ რუსეთ-აშშ-ს შორის მეგობრული ურთიერთობები აღდგეს.

– ჩვენ გვჭირდება რუსეთი, თუმცა მხოლოდ ეს არ კმარა! მოსკოვმაც რიგი შემხვედრი ნაბიჯი უნდა გადადგას. უწინარეს ყოვლისა, ეს უკრაინის მიმართ გატარებულ პოლიტიკას შეეხება, – თქვა სპეისერმა.




თეთრი სახლის განცხადებამ რუსეთში გამსკდარი ბომბის ეფექტი იქონია. რუსეთის ფედერალური საბჭოს წევრმა ოზეროვმა განაცხადა, რომ ტრამპზე გარკვეულმა ძალებმა ზეწოლა განახორციელეს.

– აგორდა შავი პიარი, აქაოდა ტრამპი პრორუსული ორიენტაციის მოღვაწეაო! ტრამპსაც სურს, მის წინააღმდეგ აზვირთებული უკმაყოფილებებს ტალღა რამდენადმე მაინც გაანეიტრალოს, – აცხადებს ოზეროვი.

დუმის დეპუტატი კალაშნიკოვი კი მიიჩნევს, რომ ამერიკულ საზოგადოებაში ძლიერი ანტირუსული მუხტია დაგროვილი და პრეზიდენტი იძულებულია, ამას ანგარიში გაუწიოს.

– ტრამპს ესმის, რომ რუსეთთან მეგობრობა ამერიკისთვის მომგებიანია, მაგრამ მან ზეწოლას ვერ გაუძლო! – ამტკიცებს კალაშნიკოვი.

რუსეთის პარლამენტის სპიკერმა ვიაჩესლავ ვოლოდინმა განაცხადა, რომ ნებისმიერი საუბრები ყირიმის რუსეთისგან მოშორებაზე ქვეყნის მთლიანობის შელახვას წარმოადგენს.

– ყირიმი რუსეთის ნაწილია. ნებისმიერი საუბარი, რომელიც ჩვენი ტერიტორიის მოშორებას ეხება, ჩვენი ქვეყნის მთლიანობისა და ტერიტორიის შელახვას წარმოადგენს, – განაცხადა ვოლოდინმა.

– არ არის საჭირო ამ თემის წამოწევა, რომელიღაცა პრესმდივანმა რაღაცა განაცხადა, კიდევ ვინმე რამეს იტყვის. წინასაარჩევნო პროგრამა უნდა შესრულდეს, წინასაარჩევნო პროგრამაში ყველაფერი ნათქვამი იყო – რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება, – დასძინა რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერმა.

ამერიკის ნაპირებთან რუსული სამხედრო ხომალდი აღმოაჩინეს

ამერიკის ნაპირებთან რუსული სამხედრო ხომალდი „ვიქტორ ლეონოვი“ დააფიქსირეს.

– სავარაუდოდ, რუსული ხომალდი სადაზვერვო ფუნქციებს ასრულებდა, – ნათქვამია შეტყობინებაში.

ხსენებული ხომალდი აშშ-ის ნაპირებთან უკანასკნელად 2015 წელს გამოჩნდა. ის მაშინაც სადაზვერვო ფუნქციებს ასრულებდა.

შავი ზღვის ნეიტრალურ წყლებში კი ინციდენტი მოხდა. რუსული თვითმფრინავი ამერიკულ ავიამზიდს სახიფათო მანძილზე მიუახლოვდა.

– რუსების მოქმედება აშკარად პროვოკაციულ ხასიათს ატარებდა, – ნათქვამია პენტაგონის განცხადებაში.

ექსპერტი ანდრეი პორტნიკოვი აღნიშნავს, რომ მსგავსი ინციდენტები ობამას მმართველობის უკანასკნელ წლებში სისტემატიურად ხდებოდა. ხელისუფლებაში ტრამპის მოსვლის შემდეგ ინციდენტები თითქოს შეწყდა, მაგრამ ახლა ახალი ძალით განახლდა.

– ეს დაკავშირებულია ტრამპის პოზიციასთან ყირიმსა და დონბასთან დაკავშირებით, – ამბობს პორტნიკოვი.

# ამერიკელი პოლიტიკოსები: „ფლინის გადადგომა სწორი იყო“



ტრამპის მრჩევლის მაიკლ ფლინის გადადგომას აშშ-ის პოლიტიკურ სპექტრში ფართო გამოხმაურება მოყვა. კონგრესის წარმომადგენლობითი პალატის სპიკერმა პოლ რაიანმა განაცხადა, რომ ფლინის გადადგომა უდავოდ პოზიტიური მოვლენაა.

– პრეზიდენტმა უდავოდ სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როცა ფლინის გადადგომას დათანხმდა, – თქვა რაიანმა.

სენატორმა მაკეინმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ ფლინის გადადგომა მართლაც პოზიტიური მოვლენაა, თუმცა პრობლემა ბოლომდე არ არის გადაჭრილი.

– ტრამპის მიმართ კითხვები კვლავაც არსებობს. განსაკუთრებით ეს რუსეთთან ურთიერთობებს შეეხება, – აცხადებს მაკეინი.

# სომხეთმა სირიაში ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა



სომხეთმა სირიაში ჰუმანიტარული ტვირთი გაგზავნა. პრეზიდენტ სარგსიანის ცნობით, ტვირთში შედის ტანსაცმელი, საძილე ტომრები და კონსერვები.

ტვირთი სირიაში რუსული სამხედრო თვითმფრინავებით ჩაიტანეს.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სირიაში ჰუმანიტარულ ტვირთს კვლავაც გაგზავნის

– თავის დროზე სწორედ სირიამ შეიფარა სომხები, რომლებიც თურქების გენოციდს გამოექცნენ! ახლა ჩვენი ვალია, სირიელებს დავეხმაროთ, – აცხადებს სარგსიანი.

# მალაიზიაში ჩრდილოეთ კორეის ლიდერის ძმის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავეს

მალაიზიის პოლიციამ ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინის ძმის, კიმ ჩენ ნამის, მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავა, რომელიც ახალგაზრდა ქალი აღმოჩნდა. დაკავების მომენტში ქალი მარტო იმყოფებოდა და ამის ვიდეომასალაც არსებობს. ეჭვმიტანილი 28 წლის არის. მისი თანამზრახველი ჯერჯერობით დაკავებული არ არის. კიმ ჩენ ნამი რამდენიმე დღის წინ მოკლეს, როდესაც მას მალაიზიის ერთ-ერთ აეროპორტში ორი ქალი თავს დაესხა და სახეში უცნობი სითხე შეასხა, რომელმაც მისი მოწამვლა გამოიწვია. კიმ ჩენ ნამმა თავი შეუძლოდ იგრძნო და მალე გარდაიცვალა.



კიმ ჩენ ნამს საინტერესო ისტორია აქვს. 2003 წლიდან ის ჩრდილოეთ კორეაში აღარ ცხოვრობდა და საკმაოდ ხშირად აკრიტიკებდა თავის ძმას, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ლიდერი გახდა.

გარდა ამისა, მისი მოკვლის მცდელობები ადრეც იყო, მაგალითად, 2011 წელს მაკაოში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად ჩრდილოეთ კორეის ლიდერს და მის ხელისუფლებას კიმ ჩენ ნამის მოშორება დიდი ხანია უნდოდათ, რადგან მასში ისინი საფრთხეს ხედავდნენ.

მალაიზიის პოლიცია ფიქრობს, რომ მკვლელობის უკან სწორედ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება დგას.

# ფედერიკა მოგერინიმ აშშ გააკრიტიკა



ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკაში ფედერიკა მოგერინიმ აშშ გააკრიტიკა და თქვა, რომ ამ ქვეყანამ შესაძლოა მსოფლიო ლიდერის როლი დაკარგოს.

– აშშ არასოდეს ყოფილა ასეთი გაყოფილი და კონფლიქტებით დატვირთული, როგორიც ახლა არის. მსოფლიოს ლიდერი ქვეყანა კი ერთიანი და შიგნიდან ძლიერი უნდა იყოს. ვფიქრობ, როდესაც მსოფლიოს უდიდესი დემოკრატია ასეთ დღეშია, ეს შეიძლება მთელი მსოფლიოსთვის დიდი პრობლემა გახდეს, – განაცხადა მოგერინიმ.

ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკის საკითხებში დასძინა, რომ აშშ არ უნდა ჩაერიოს ევროპის საქმეებში, რადგან ევროპა არ ერევა მათ პოლიტიკურ საქმიანობაში

# ვენესუელა ამერიკისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს



ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ აშშ-სგან ოფიციალური ბოდიში მოითხოვა.

რამდენიმე დღის წინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ვენესუელის ვიცე-პრეზიდენტ ტერელ ელ აისამს სანქციები დაუწესა და ნარკობიზნესთან კავშირი დააბრალა. სანქციის მიხედვით, ელ აისამს აშშ-ში არ ექნება რაიმე ბიზნესის დაწყების უფლება. ვიცე-პრეზიდენტმა ყველა ეს ბრალდება უარყო და მათ არასერიოზული უწოდა.

ელ აისამს მხარი დაუჭირა ვენესუელის პრეზიდენტმა ნიკოლას მადურომ, რომელმაც განაცხადა, რომ აშშ-მ ამ საქციელის გამო ბოდიში უნდა მოიხადოს.

გარდა ამისა, მადურომ დაამატა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს უხეშად ჩაერიოს ვენესუელის პოლიტიკურ საქმიანობაში და ასეთი ბრალდებები ამისი ერთ-ერთი ხერხია.

მიუხედავად ასეთი განცხადებებისა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აშშ-მ ბოდიში მოიხადოს და სანქციები გააუქმოს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ადოლფ ჰიტლერის ორეულმა ავსტრიული ქალაქის მცხოვრებლები შეაშფოთა



ავსტრიის ხელისუფლებამ დაადასტურა ადოლფ ჰიტლერის მშობლიურ ქალაქში მისი ორეულის გამოჩენის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია.

ქალაქ ბრაუნაუ-ამ-იინას მცხოვრებლებმა ყურადღება მიაქციეს ქუჩაში მოსეირნე 25-30 წლის მამაკაცს, ნაცნობი ულვაშებით, ვარცხნილობითა და კოსტიუმით. ის ფოტოსურათებს იღებდა იმ სახლის წინ, სადაც 1889 წელს ჰიტლერი დაიბადა.

– ხშირად ვხედავ ამ ჯენტლმენს ბრაუნაუში. საინტერესოა, ეს რას უნდა ნიშნავდეს, – წერს ფეისბუქში საკუთარ გვერდზე ქალაქის ერთ-ერთი მცხოვრები.

ადგილობრივ ბარში ფიურერის ორეულმა თავი ჰერალდ ჰიტლერად წარადგინა. ბოლოს ის წიგნის მაღაზიაში ნახეს, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროინდელ ჟურნალებს ათვალიერებდა. ქვეყნის პროკურატურა ამოწმებს მიღებულ შეტყობინებას. ავსტრიის კანონები კრძალავს ჰიტლერის ქებადიდებას, ფაშისტების დანაშაულების უარყოფას ან გაუბრალოებას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# პარიზში ბარსელონა გალახეს



**პარი სენ ჟერმენი-ბარსელონა 4:0**

**პარიზი.** პარკ დე პრენსი

1:0 დი მარია (18), 2:0 დრაქსლერი (40), 3:0 დი მარია (55), 4:0 კავანი (72)

**პსჟ:** ტრაპი, მუნიე, მარკინიოსი, კიმპემბე, კურზავა, ვერატი (ნკუნკუ 70), რაბიო, მატუიდი, დი მარია (ლუკასი 61), კავანი, დრაქსლერი (პასტორე 86)

**ბარსელონა:** ტერ შტეგენი, სერხი რობერტო, პიკე, უმტიტი, ალბა, ანდრე გომეში (რაფინია 58), ბუსკეტსი, ინიესტა (რაკიტიჩი 73), მესი, სუარესი, ნეიმარი

წარმოუდგენელი რამ მოხდა პარკ დე პრენსზე – პარიზელებმა სახალხო გაბითურება მოუწყვეს ბარსელონას. ალბათ ვერავინ ახსნის, რა მოხდა. შესაძლოა, კატალონიელები იოლ გასეირნებას ელოდნენ და ბოლომდე არ დააფასეს უნაი ემერის გაწვრთნილი გუნდი, რომელსაც მიმდინარე სეზონში საფრანგეთშიც კი აკრიტიკებენ.

პსჟ-მ ამ კრიტიკას საერთაშორისო არენაზე უპასუხა. ფრანგული კლუბი უფრო განწყობილი იყო ბრძოლისთვის, მოძრაობდა მეტს, იგონებდა ახალ-ახალ კომბინაციებს, ბურთთან უკეთესად ირჯებოდა და ერთიან ორგანიზმს წარმოადგენდა. შესანიშნავად ირჯებოდა პარიზელთა ყველა რგოლი – რომელიმე მათგანის გამოყოფა რთულია

ბარსელონა კი აუჩქარებლად ცდილობდა თავისი მაღალი კლასის დამტკიცებას, მაგრამ ყველა მისი ვარსკვლავი ისე ჰყავდათ გადაკეტილი, რომ მთელი მატჩის განმავლობაში მხოლოდ 3 მომენტის შექმნა შეძლეს. ამასთან, ყველა მათი მცდელობა ძირითადად მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როდესაც ანგარიში უკვე 0:4 იყო. ამ დროს პარიზელებმა უკან დაიხიეს და ცდილობდნენ, საშინაო არენაზე გოლი არ გაეშვათ.

შესაძლოა, ეს იყო საჭირო გაკვეთილი ბარსელონასთვის, მაგრამ ძალიან მტკივნეული.

მატჩის მე-18 წუთზე ბარსელონას კარში ჯარიმა დაინიშნა და ანხელ დი მარიამ ბრწყინვალე დარტყმით ანგარიში გახსნა.

ფრანგებმა პირველ ტაიმში მეტოქეს კიდევ ერთი გოლი გაუტანეს – მარკო ვერატის პასით მასპინძელთა უპირატესობა ორამდე იულიან დრაქსლერმა გაზარდა.

მეორე ტაიმში დუბლი გაიფორმა დი მარიამ, რომელსაც მატჩის დღეს იუბილე ჰქონდა. არგენტინელმა ტერ შტეგენის კარი კვლავ ულამაზესი დარტყმით აიღო. ამას 71-ე წუთზე ედისონ კავანის გოლიც მოყვა – 4:0.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ანხელ დი მარია.**

არგენტინელმა საკუთარ თავს მშვენიერი საჩუქარი მიუძღვნა. მართალია, რომელიმე ფეხბურთელის გამოყოფა რთული იყო, მაგრამ იუბილარი იმიტომ გამოვარჩიეთ, რომ 2 გოლი გაიტანა – ორივე ლამაზი და ხარისხიანი. გოლების გარდა აქტიური და სახიფათო იყო...

**უნაი ემერი:**

– გვინდოდა ჩვენი გულშემატკივრისთვის შოუ გვეჩუქებინა და მიხარია, რომ ეს მოვახერხეთ. თუმცა, ამით არაფერი დასრულებულა. ბარსელონა საკუთარ მოედანზე ძალიან ძლიერია და საპასუხო თამაშს ისე უნდა მივუდგეთ, თითქოს, პირველი მატჩი 0:0 დასრულდა. ჩვენი ფეხბურთელების გარჯით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ძლიერი გუნდის წინააღმდეგ უმაღლესი დონის ფეხბურთი ვითამაშეთ.

**ლუის ენრიკე:**

– პსჟ-მ ყველა კომპონენტში გვაჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა. მათ გაცილებით მეტი სურვილი გამოავლინეს მოგების. დამნაშავე? მარცხზე პასუხისმგებლობას სრულად მე ვიღებ, ფეხბურთელები არაფერ შუაში არ არიან. პსჟ-ს ძალიან მაღალი დონის ფეხბურთელები ჰყავს და სიურპრიზი არაფერია.

**ბენფიკა-დორტმუნდი 1:0**

**ლისაბონი.** და ლუჟი

1:0 მიტროღლუ (49)

58-ე წუთზე ობამეიანგმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)

**ბენფიკა:** ედერსონი, სემედო, ლუიზაო, ლინდელოფი, ელიზეუ, სალვიო, პიცი, კარილო (აუგუსტო 46), რაფა სილვა (ჩერვი 67), მიტროღლუ (ხიმენესი 75)

**დორტმუნდი:** ბურკი, პიშჩეკი, სოკრატისი, შმელცერი, დურმი, დემბელე, ვეიგლი, გუერეირო (კასტრო 82), როისი (პულიშიჩი 82), ობამეიანგი (შურლე 62)

ძალიან ემოციური მატჩი გაიმართა ლისაბონში, სადაც დორტმუნდელები მოსაგებად ჩავიდნენ და ალბათ იმსახურებდნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ ფრესაც ვერ დასჯერდნენ.

მასპინძლებს მოგება თავგანწირვამ, კოსტას მიტროღლუს საგოლე ალღომ და მეკარე ედერსონის შესანიშნავმა თამაშმა მოუტანა.

სტუმრები ორივე ტაიმის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას, მაგრამ ბურთი ჯიუტად არ გადიოდა ბენფიკას კარში. მარტო პირველ ტაიმში პიერ-ემერიკ ობამეიანგმა ორჯერ დაინდო მასპინძლები, როდესაც პირისპირ დარჩა ედერსონთან.

მიტროღლუმ გოლი მე-2 ტაიმის დასაწყისში გაიტანა, რის შემდეგ ედერსონმა მოიგერია ყველა ბურთი, რომელიც მისი კარისკენ წავიდა – თვით პენალტიც კი.

დორტმუნდმა შემოდგომაზე ჩემპიონთა ლიგის ყველა დროის რეკორდი დაამყარა გატანილი გოლებით, მაგრამ ბენფიკასთან ერთიც ვერ გაიტანა. მასპინძლებმა ფინალურ სასტვენამდე გაუძლეს მეტოქის შეტევებს და შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი გაიუმჯობესეს.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ედერსონი.**

მართლაც შთამბეჭდავი მატჩი ჩაატარა პორტუგალიელთა ბრაზილიელმა მეკარემ. განსაკუთრებით მე-2 ტაიმში, როდესაც სასწაულები მოახდინა.

**რუი ვიტორია:**

– ძალიან კარგი გუნდი დავამარცხეთ, რომელსაც სირთულის შექმნა ევროპაში ნებისმიერი კოლექტივისთვის შეუძლია. ვაღიარებ, რომ დორტმუნდი ძალიან კარგად თამაშობდა. ჩვენ ვიბრძოლეთ, თავიდან ბოლომდე დავიხარჯეთ და გამარჯვებები სწორედ ამისგან შედგება. საპასუხო მატჩში რა უნდა გავაკეთოთ ვიცით. ბენფიკას შინ გოლი არ გაუშვია და, ასე რომ, სტუმრად ჩასატარებელი შეხვედრა განსხვავებული იქნება. გამარჯვების მიუხედავად, გვესმის, რომ უკეთესად თამაში შეგვიძლია.

**ტომას ტუხელი:**

– დორტმუნდმა ითამაშა არა მარტო კარგი, არამედ დიდი ფეხბურთი. იშვიათია ითამაშო ასე და მაინც დამარცხდე. მიუხედავად მწარე მარცხისა, ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით და ახლა განმეორებითი შეხვედრისთვის ვემზადებით.

# ჯიმი ტაბიძე: „დუბლებში თამაში არ მაწყობდა“



ბელგიური გენტის ქართველი ფეხბურთელი ჯიმი ტაბიძე ეკატერინბურგის ურალში 6-თვიანი იჯარით ირიცხება. ურალში თამაშობს საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელი გიორგი ჭანტურია, რომელსაც სადღეისოდ ტრავმა აქვს და რეაბილიტაციის პერიოდს გადის.

ურალის ახალწვეულის ინტერვიუ კლუბის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***– როგორ გაგიჩნდა ურალში გადასვლის ვარიანტი?***

– გენტთან კონტრაქტი მქონდა. კიდევ 6 თვე ჩემი სატრანსფერო უფლებები მათ ეკუთვნოდათ. პირველ გუნდში ჩემი იმედი არ ჰქონდათ. ძირითადად, დუბლებში ვთამაშობდი. ეს არ მაწყობდა. აგენტმა ურალის ვარიანტი შემომთავაზა. მე კი უმალ დავთანხმდი, რადგან ვფიქრობ, რომ რუსულ პრემიერლიგაში გადასვლა წინგადადგმული ნაბიჯია.

***– ურალის მაისურით კვიპროსში 3 მატჩი ითამაშე. მოასწარი უკვე მოედანზე ახალ პარტნიორებთან საერთო ენის მონახვა?***

– გუნდში კარგად მიმიღეს. აქ ყველა პროფესიონალია. ამიტომ ყველასთან საერთო ენა იოლად გამოვნახე.

***– გიორგი ჭანტურიას იცნობ?***

– დიახ, ვიცნობ, მაგრამ ახლო მეგობრები არ ვართ.

***– რჩევა ჰკითხე ურალში გადასვლასთან დაკავშირებით?***

– დიახ, როცა უკვე წყდებოდა ჩემი გადასვლა, მას ვკითხე ურალის შესახებ.

***– ამჟამად გუნდში ვისთან ლაპარაკობ ყველაზე ხშირად?***

– გუნდიდან მხოლოდ გიორგი ჭანტურიას ვიცნობდი, მაგრამ აქ არის რეზო ლავთაძე. ის ჩემი თანამემამულეა, ქართულად კარგად ლაპარაკობს. ამიტომ მხოლოდ მასთან ვლაპარაკობ. რეზო თარგმანში მეხმარება.

# წყალბურთელებმა რუსეთთან უშანსოდ წააგეს




საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა მსოფლიო ლიგის ევროპული ეტაპის მესამე შეხვედრა წააგო. იოვან პოპოვიჩის გაწვრთნილი გუნდი ყაზანში, რუსეთის ნაკრებს დაუპირისპირდა და უშანსოდ დამარცხდა – 8:19.

პირველი პერიოდი მასპინძლებმა 4:2 მოიგეს და მეტ-ნაკლებად თანაბარი ბრძოლა იყო, მაგრამ მეორე მეოთხედი პოპოვიჩის გუნდმა კიდევ უფრო დიდი ანგარიშით დათმო და დიდი შესვენების წინ რუსები – 10:5 დაწინაურდნენ.

შესვენების შემდეგ საქართველოს ნაკრები კიდევ უფრო ჩამორჩა. მესამე მეოთხედი 1:3 დათმო, ხოლო მეოთხე – 2:6 და საბოლოოდ, 11-ბურთიანი სხვაობით წააგო – 8:19.

უფრო საწყენი ის არის, რომ ჩვენ გუნდში არ ჩანდა არც ერთი გააზრებული შეტევა და ძირითადად შორეული დარტყმებით ცდილობდნენ გოლის გატანას, რის შედეგად ბურთი რუსთა მეკარის იოლი ნადავლი ხდებოდა.

ქართველმა წყალბურთელებმა „ც“ ჯგუფში ზედიზედ მესამე მარცხი იწვნიეს. ჩვენებმა სტუმრად წააგეს იტალიასთან – 5:14 და შინ, რუსეთთან – 13:14. მეოთხე მატჩს კი 4 აპრილს, იტალიასთან უკვე თბილისში ჩაატარებენ.

## შედეგები

14 თებერვალი

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ბენფიკა-დორტმუნდი | 1:0 |
| პსჟ-ბარსელონა | 4:0 |
| **ინგლისი. ჩემპიონლიგა** | |
| ასტონ ვილა-ბარნსლი | 1:3 |
| ბრაიტონი-იფსვიჩი | 1:1 |
| ვულვზი-უიგანი | 0:1 |
| დერბი-კარდიფი | 3:4 |
| ლიდსი-ბრისტოლი | 2:1 |
| ნორვიჩი-ნიუკასლი | 2:2 |
| პრესტონი-ბირმინგემი | 2:1 |
| როტერჰემი-ჰადერსფილდი | 2:3 |
| ფულემი-ნოტინგემი | 3:2 |
| შეფილდი-ბლექბერნი | 2:1 |
| რედინგი-ბრენტფორდი | 3:2 |
| **იტალია. სერია ბ** | |
| ასკოლი-პრო ვერჩელი | 3:1 |

# შმეიხელის გადაბირება ლივერპულსა და არსენალს სურთ




ლივერპულს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, საბოლოოდ მოაგვაროს მეკარის პრობლემა. ზაფხულში პირველი ნაბიჯები სწორედ ამ პოზიციის გაძლიერებისკენ გადაიდგმება და მერსისაიდელები კასპერ შმეიხელის გადაბირებას შეეცდებიან.

ლესტერის დანიელი მეკარით ლონდონის არსენალიცაა დაინტერესებული, მაგრამ ფავორიტი ლივერპულია.

მიმდინარე სეზონში, იურგენ კლოპი დიდ დაბრკოლებებს განიცდის, ლორის კარიუსს ჯერ კიდევ გამოსავლენი აქვს თავისი პოტენციალი, სიმონ მინიოლესთვის კი დღემდე უცნობია სიტყვა სტაბილურობა.

შმეიხელის სატრანსფერო ღირებულება დაახლოებით 30 მილიონ გირვანქა სტერლინგამდე ადის. თუმცაღა დანიელი გოლკიპერი ძალიან ახლოსაა „კინგ პაუერის“ დატოვებსთან, მელიებისთვის საკმარისია მხოლოდ სერიოზული წინადადება.

შმეიხელის გადაბირების საქმეში ფიგურირებს დანიელის ყოფილი კლუბი სიტიც. თუმცა, მანჩესტერელებს ჰყავთ საიმედო მეკარე, აქედან გამომდინარე, „ქალაქელები“ სხვებთან შედარებით უკანა პლანზე არიან.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# თურქეთი ევრო 2024-ის მასპინძლობას აპირებს




თურქეთის საფეხბურთო ფედერაცია უეფაში ოფიციალურ განცხადებას შეიტანს ევრო 2024-ის მასპინძლობის თაობაზე.

საფეხბურთო ფედერაციის პრეზიდენტმა ილდირიმ დემირორენმა განაცხადა, რომ თურქეთს კარგი შანსები ექნება, რომ ევრო 2024-ის ჩატარების უფლება მიიღოს. დემირორენის აზრით, თურქეთს საკმარისად ბევრი სტადიონი აქვს, რამდენიმე წელიწადში კი ახალი საფეხბურთო არენებიც აშენდება.

ევრო 2024-ის ჩატარებაზე პრეტენზიას გერმანიაც აცხადებს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# ვის სჭირდება მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია

ეკა ირემაშვილი

მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია თანამედროვე მედიცინაში კვლევის ყველაზე ინფორმატიული მეთოდია. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის კვლევა მეტად მნიშვნელოვანია ონკოლოგიური და სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების დინამიკაში დაკვირვებისთვის. გამოკვლევის ეს მეთოდი სრულიად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის, რადგან კვლევის დროს არ ხდება ადამიანის ქსოვილებისა და შინაგანი ორგანოების რენტგენული დასხივება და არ გამოიყენება იონიზირებული რადიაცია.

რომელი ორგანოების კვლევისთვის იყენებენ მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას, რით განსხვავდება ერთმანეთისგან მაგნიტურ-რეზონანსული და კომპიუტერული ტომოგრაფია, რამდენად მნიშვნელოვანია მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის როლი დაავადებათა დროული დიაგნოსტირების და პრევენციის თვალსაზრისით, შეიძლება თუ არა მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის ჩატარება ორსულობის დროს, ამ თემებზე ექიმი-რადიოლოგი ანა სამხარაძე საუბრობს.

**ანა სამხარაძე:**

– მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია



რთული, მაგრამ პაციენტისთვის სრულიად უსაფრთხო და ეფექტური კვლევის მეთოდია, რომელიც გამოიყენება რადიოლოგიაში სხეულის ანატომიური და ფიზიოლოგიური კვლევისთვის. სისტემა გამოსახულების მისაღებად იყენებს ძლიერ მაგნიტურ ველს და რადიოტალღებს. მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის პრინციპი დამყარებულია ორგანიზმში არსებული წყალბადის ატომბირთვების განლაგებისგან ინფორმაციის მიღებაზე.

გამოკვლევის არსი კი ასეთია: პაციენტი თავსდება ძლიერ მაგნიტურ ველში, რის შედეგადაც ორგანიზმში არსებული ყველა წყალბადის ატომი განლაგდება მაგნიტური ველის მიმართულების პარალელურად, ამ მომენტში აპარატი აგზავნის ელექტრო-მაგნიტურ სიგნალს, რომლის ზემოქმედებით წყალბადის ატომები აღიგზნება და ახდენს ამ სიგნალის გენერირებას. შემდეგ ხდება მიღებული სიგნალის კომპიუტერული – მათემატიკური დამუშავება და გამოსახულების მიღება.

***– რა განსხვავებაა მაგნიტურ-რეზონანსულ და კომპიუტერულ ტომოგრაფიას შორის?***

– კომპიუტერული ტომოგრაფია მაგნიტურ-რეზონანსულთან შედარებით უფრო სწრაფი და ხანმოკლე მეთოდია. ძირითადად გამოიყენება ჰემორაგიული ინსულტის მწვავე სტადიაში, ასევე გადაუდებელი გამოკვლევების მიზნით – პოლიტრავმების შემთხვევაში, სხვადასხვა ორგანოების ტრავმული დაზიანების დროს, განსაკუთრებით ქალა-ტვინის ტრავმისას ძვლოვანი სტრუქტურის შესაფასებლად.

კომპიუტერულ ტომოგრაფიას ფილტვებისა და გულმკერდის ორგანოების პათოლოგიების დროს, უპირატესი და განსაკუთრებული როლი ენიჭება, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია, ორივე გამოკვლევა ერთდროულად ჩატარდეს. ეს საჭიროება ჩნდება პოლიტრავმების, სისხლძარღვოვანი და ონკოლოგიური დაავადებების დროს.

***– რომელი ორგანოების კვლევისთვის იყენებენ მაგნიტურ-რეზონანსულ ტომოგრაფიას?***

– ცენტრალური ნერვული სისტემის დაავადებების დროს ამ კვლევას არ გააჩნია ანალოგი. მაგალითად, თავის ტვინის იშემიური ინსულტის მწვავე სტადიაში, თავის ტვინის სიმსივნეების, თავი ტვინის ქერქის დისპლაზიისა და ზურგის ტვინის სტრუქტურული ცვლილებების შემთხვევაში. მუცლის და მენჯის ღრუს ორგანოების, სახსრებისა და რბილი ქსოვილების დაავადებათა დიაგნოსტიკისთვის.

მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ონკოლოგიური დაავადებების დროს.

***– საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია იწვევს დასხივებას. ეს მართალია?***

– როგორც უკვე მოგახსენეთ, კომპიუტერული ტომოგრაფიისგან განსხვავებით, რომელიც დამყარებულია რენტგენის სხივებზე, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ძირითად პრინციპს წარმოადგენს მაგნიტური ველი და რადიოსიხშირის ტალღები, რომელიც სრულიად უსაფრთხოა პაციენტისთვის.

***– ორსულობის დროს თუ შეიძლება მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის ჩატარება?***

– ორსულობის მეორე ტრიმესტრიდან მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის ჩატარება თამამად შეიძლება, პირველ ტრიმესტრში კი მხოლოდ სასიცოცხლო ჩვენების დროს არის მიზანშეწონილი.

***– რა როლს თამაშობს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია დაავადებათა დროული დიაგნოსტირების და პრევენციის თვალსაზრისით?***

– ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რათა პაციენტს დროულად აღმოვუჩინოთ ფარულად მიმდინარე ონკოლოგიური დაავადებები. ამგვარი დაავადებების ადრეული გამოვლენის შემთხვევაში შესაძლებელია მათი წარმატებული მკურნალობა. მაგალითად, თუ კიბოს დიაგნოსტირება მოხდება საწყის სტადიაზე, მისი მკურნალობა მეტად ეფექტურია, რადგან უმეტეს შემთხვევაში, ამ ეტაპზე არ ვლინდება მეტასტაზური დაზიანება. იგივე შეიძლება ითქვას თავის ტვინის სისხლძარღვების პათოლოგიებზე, კერძოდ, ანევრიზმებზე, რომელიც წარმოადგენს ე.წ. „სიურპრიზს“ და საკმაოდ ხშირია პროფილაქტიკური გამოკვლევების დროს.

***– მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა საზოგადოების ფართო მასისთვის ხელმისაწვდომია?***

– მოგეხსენებათ, საზოგადოებაში არსებობს მოსაზრება, რომ მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია საკმოდ ძვირადღირებულია, სამწუხაროდ, ამ აზრის გამო ბევრი ადამიანი კვლევას იტარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც კლინიკური სიმპტომები მკვეთრად არის გამოვლენილი.

ჩემი რეკომენდაციით, ნებისმიერმა პაციენტმა უმჯობესია მოგვმართოს არა მარტო ჩივილების დროს, არამედ პროფილაქტიკის მიზნითაც.

## კალეიდოსკოპი

## მშიერმა სპილოებმა ჩინური სოფელი დაიპყრეს



ჩინეთის პროვინცია იუნინანის ერთ-ერთ სოფელს საკვების ძებნაში გარეული სპილოები შეესივნენ. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეორგოლი ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეარხმა აჩვენა.

სპილოების დანახვაზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა სახლის კარები ჩაკეტეს და თავად სახურავზე აძვრნენ. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცხოველები სოფელში მთელი ღამე დაბოდიალობდნენ. ტელეარხის ინფორმაციით, ინციდენტი სიშუანბაინა-დაისკის ავტონომიურ რაიონში მოხდა. ერთ-ერთი სპილო გზატკეცილზე გადავიდა, რის გამოც მასზე მანქანების მოძრაობა 20 წუთით იყო შეწყვეტილი.

ადგილობრივი სააგენტოს, სინხუას ცნობით, სოფელში 14 სპილო შეიჭრა. მათ 26 იანვრის შემდეგ სხვადასხვა დასახლებული პუნქტის მახლობლად ხედავენ. კერძოდ, მენხაის ოლქის სოფელ მანდატის ტერიტორიაზე ცხოველებმა უამრავი ნათესი გაანადგურეს და რამდენიმე ქათამი და ბატი გასრისეს. მათ გადაადგილებას უპილოტო საფრენი აპარატით ადევნებდნენ თვალს.

## ბრიტანულმა სასამართლომ ნუდისტს მხარი დაუჭირა



ბრიტანეთის სასამართლო ნუდისტის მხარეს აღმოჩნდა, რომელიც მეზობლებს საკუთარი სიშიშვლით უხერხულ მდგომარეობაში აგდებდა.

მეზობლებმა რამდენჯერმე დარეკეს პოლიციაში და უჩივლეს ქალაქ სნოდლენდის 42 წლის მცხოვრებ რობი ჯენერს, რომელიც საკუთარი სახლის შესაკეთებელ სამუშაოებს დედიშობილა ასრულებდა. ერთ-ერთმა მომჩივანმა მეზობელმა სასამართლოს განუმარტა, რომ ზიზღის გრძნობა დაეუფლა, როდესაც ცემენტიან ტომარაზე დახრილი ნუდისტი მეზობელი შენიშნა. მეორე მეზობლის თქმით, ის ყვავილების მოსარწყავად გამოვიდა, შემდეგ სპეციალურად მივიდა ჯენერის სახლთან, რათა დარწმუნებულიყო მის სიშიშვლეში, რის შემდეგაც პოლიცია გამოიძახა.

სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა ნუდისტს ფანჯრების დარაბებით დახურვა და ეზოს სატვირთოთი გადაკეტვა ურჩიეს, რათა სხვებს მისი სიშიშვლე ვერ დაენახათ. მან მათი რეკომენდაცია გაითვალისწინა, მაგრამ პოლიციაში ზარები არ შეწყვეტილა. მესამე საჩივრის შემდეგ ჯენერი დააკავეს.

სასამართლო საქმეს ორი დღის განმავლობაში განიხილავდა და საბოლოოდ დაადგინა, რომ თვითგამოხატვის უფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის ნეგატიური ემოციები, რომელსაც მისი სიშიშვლე იწვევდა გარეშე პირებში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

## ასტროპროგნოზი

### 16 თებერვლისთვის



**ვერძი** – ნეგატიური ტენდენციების მატარებელი დღეა. ემოციები გონიერებას აჭარბებს. ერიდეთ ხმამაღალ ლაპარაკსა და საქმის გარჩევებს. **კურო** – დაფიქრდით, გადაწყვეტილების მიღებისას არ აჩქარდეთ. მთლიანობაში, კეთილისმყოფელი პერიოდია. **ტყუპები** – პარტნიორი თქვენს მოტყუებას აპირებს. ეს კი კონფლიქტს გამოიწვევს. ძალიან დიდი შორსმჭვრეტელობა და სიდინჯე გმართებთ. **კირჩხიბი** – ცხოვრებისეულ პრობლემებს გულთან ახლოს ნუ მიიტანთ. ყველაფერი დროებითია და მალე გამოსწორდება. **ლომი** – პოზიტიური დღეა. ვარსკვლავები თქვენ მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. **ქალწული** – მოსალოდნელია იმედგაცრუება. იოლად ნურავის მიენდობით. დაეყრდენით საკუთარ ინტუიციას. **სასწორი** – მხოლოდ ცივი გონებით იმოქმედეთ. ემოციების აყოლა კარგს არაფერს მოგიტანთ. **მშვილდოსანი** – გიუმჯობესდებათ ურთიერთობა ახლობლებთან და ნათესავებთან. ინტიმურ სფეროში სასიამოვნო სიახლე გელით. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კამათს. სხვის საქმეში არ ჩაერიოთ. ფიზიკური დატვირთვა მოგიხდებათ და გაგახალისებთ. **თხის რქა** – ფინანსებს გაუფრთხილდით. საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად იცით. **მერწყული** – ინტუიცია გიმახვილდებათ. დღეს თქვენს მოტყუებას ვერავინ შეძლებს. გიმართლებთ პარტნიორულ ურთიერთობებში. **თევზები** – საინტერესო მოვლენებით აღსავსე პერიოდია. რეკომენდებულია შემოქმედებითი შეხვედრები.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ




**შვეულად:** 1. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 2. გადაჭარბებული თავმოყვარეობა; 3. ყოველდღიური გაზეთი შვეიცარიაში; 4. ეგვიპტის ძველი დედაქალაქი; 5. ფირუზისფერი ზღვის ბალახი; 10. ორგანიზმების მემკვიდრეობითობისა და ცვალებადობის შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 11. საერთაშორისო ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა; 12. მუდმივი მყიდველი; 15. უბანი ძველ თბილისში; 16. აზერბაიჯანის პრეზიდენტი; 17. ღვთის სადიდებელი შეძახილი ქრისტიანულ მღვდელთმსახურებაში; 20. ფრანგი მწერალი, „გარგანტუა და პანტაგრუელის“ ავტორი.

**თარაზულად:** 6. წითელი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 7. უძველესი ქართული ხალხური სანახაობითი თამაში-წარმოდგენა; 8. ქალაქი იმერეთში; 9. რაიმე ფაქტის ან მოვლენის აღნიშვნა; 13. პატარა კოტეჯი შვეიცარიის ალპებში; 14. სახელმწიფო ჰიმალაებში; 18. შებოლილი ძეხვის ერთ-ერთი სახეობა; 19. ჯაზის ერთ-ერთი სტილი; 21. წლიური ფულადი გადასახადი კომლზე ძველად საქართველოში; 22. მოგონილი, შეთხზული რამ; 23. აჭარული ცეკვა; 24. ამერიკული წარმოების ინდივიდუალური რეაქტიული ჭურვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. კები; 2. დაფნა; 3. იანძი; 4. ჩიყვი; 5. ნაგანი; 6. ტრანზიტი; 8. მარსელიოზა; 10. ფელდიეგერი; 11. ჯენტილონი; 14. ბოლიდი; 15. ბულიტი; 16. ოპიზა.

**თარაზულად**: 1. კუპდარი; 4. ჩინეჩიტა; 7. ბლეფი; 9. პიაფი; 12. მირონი; 13. ერაძე; 14. ბათუმი; 17. დიზელი; 18. გვერდწითელი; 19. იარლიყი; 20. გაბენი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. ჩუღურეთი; 2. კონსული; 3. გრიგი; 4. ნებიერი; 5. როლექსი; 10. მირზაანი; 11. კონტრაბასი; 12. აბსურდი; 15. ჰუმანიზმი; 16. ბრეცია; 17. ბენზემა; 20. ოკაპი.

**თარაზულად**: 6. ბურგომისტრი; 7. კეიტონი; 8. ალიგოტე; 9. პეპელა; 13. ფიტი; 14. ხოხობი; 18. მუხამბაზი; 19. პერიე; 21. რკალი; 22. მანათი; 23. ტანგანიკა; 24. ერისტიკა.

# ლადო მესხიშვილის 160 წლის იუბილე დიდუბის პანთეონში აღინიშნება



ცნობილი ქართველი მსახიობისა და რეჟისორის ლადო მესხიშვილის 160 წლის იუბილე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მის საფლავთან აღინიშნება.

ლადო მესხიშვილი თბილისის ერთ-ერთ კერძო პანსიონში სწავლობდა, შემდეგ კი მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე. ავადმყოფობის გამო უნივერსიტეტი ვერ დაამთავრა, სამშობლოში დაბრუნდა და მასწავლებლად დაიწყო მუშაობა თელავის ქალთა სასწავლებელში. მასწავლებლობის პარალელურად, ის მონაწილეობდა რუს სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში. მოგვიანებით შევიდა თბილისის ქართულ დრამატულ დასში, გამოდიოდა რუსულ სცენაზე, ხელმძღვანელობდა თბილისის, ქუთაისის დრამატულ დასებს.

ლადო მესხიშვილი მხარს უჭერდა სახალხო ბრძოლას, თვითონაც იბრძოდა ბარიკადებზე, მიტინგებზე რევოლუციურ ლექსებს კითხულობდა. ტირანიისა და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ პროტესტს გამოხატავდა მისი დადგმებიც. ლადო მესხიშვილის გმირები ებრძოდნენ უსამართლობას, ექომაგებოდნენ ჩაგრულებს, ილვწოდნენ კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის.

მან დადგა 100-ზე მეტი პიესა, გამოზარდა ქართული სცენის მრავალი ოსტატი, ქართული სცენისათვის არაერთი დრამატული ნაწარმოები თარგმნა. რუსეთში ყოფნის დროს კი გადაიღეს კინოფილმებში „მამები და შვილები“, „შურისძიების ღმერთი“.

მსახიობის და რეჟისორის სახელი მინიჭებული აქვს ქუთაისის დრამატულ თეატრს. ლადო მესხიშვილი 63 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს. გარდაცვალებიდან 10 წლის შემდეგ კი ლადო მესხიშვილს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა.

ლადო მესხიშვილის 160 წლის იუბილეს დიდუბის პანთეონში ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის სრულიად საქართველოს ჩოხოსან რაინდთა დასი და მისი ხელმძღვანელი, კინომცოდნე, პროფესორი გოგი დოლიძე აღნიშნავენ. უკვე 35 წელია, რაც საქართველოს სახალხო არტისტის დაბადების დღე ტრადიციულად მის საფლავთან აღინიშნება.

ამ დღეს საფუძველი ჩაეყარა 35 წლის წინ, როდესაც რეჟისორ რეზო ჩხეიძის ინიციატივით, კინომცოდნე გოგი დოლიძემ გოსკინოფონდიდან ჩამოიტანა 2 ფილმი ლადო მესხიშვილის მონაწილეობით და აღადგინა. მას მერე გოგი დოლიძის ინიციატივით ლადო მესხიშვილის საფლავთან ტრადიციულად იკრიბებიან სახელოვნებო სფეროს წარმომადგენლები არა მარტო თბილისიდან, არამედ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდანაც. წელს თბილისში ჩამოვლენ მოსწავლეები ხარაგაულიდან, თეთრიწყაროდან და რუსთავიდან. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ჩოხოსნების მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში და ხელოვნების სასახლესაც დაათვალიერებენ.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

# გია ყანჩელი ექვთიმე თაყაიშვილის ფილმს მუსიკალურად გააფორმებს



ახალგაზრდა რეჟისორი ნიკოლოზ ხომასურიძე ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხულ ექვთიმე თაყაიშვილზე მხატვრულ ფილმს იღებს. ექვთიმე ღვთისკაცის როლს რეზო ჩხიკვიშვილი ასრულებს.

შემოქმედებით ჯგუფს ბევრი დაბრკოლება შეხვდა. მათი პროექტის დაფინანსებაზე უარი განაცხადა როგორც კულტურის სამინისტრომ, ასევე ეროვნულმა კინოცენტრმა. ფილმზე მუშაობა რეჟისორმა და მისმა თანაგუნდელებმა საკუთარი სახსრებით დაიწყეს და საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ისეთი ადამიანებიც, ვისთვისაც ექვთიმე თაყაიშვილზე გადაღებული ფილმი მნიშვნელოვანია. მათ საკუთარი ფინანსებით მცირედი წვლილი შეიტანეს ფილმის დასრულების საქმეში, თუმცა გადასაღები კიდევ რამდენიმე წუთი დარჩა.

„ექვთიმეს“ შემოქმედებითმა ჯგუფმა საჭირო ფინანსების მოსაგროვებლად სხვადასხვა საქველმოქმედო აქციები ჩაატარა, ფილმის გადაღებისთვის საჭირო ფულის შესაგროვებლად გაიმართა სპექტაკლები, კონცერტები, საქველმოქმედო ვახშმები რესტორნებში, თუმცა თანხა სრულად მაინც ვერ შეგროვდა.

ამდენი სირთულის პარალელურად, ფილმის რეჟისორმა ერთი სასიამოვნო ინფორმაცია გაავრცელა – ფილმს მუსიკალურად კომპოზიტორი გია ყანჩელი გააფორმებს.

**ნიკოლოზ ხომასურიძე:**

– დაგვიკავშირდა ჩვენთვის ძვირფასი კომპოზიტორი ბატონი გია ყანჩელი, რომელმაც სურვილი გამოთქვა, თავისი წვლილი შეიტანოს ექვთიმეს ფილმის შექმნაში და შემოგვთავაზა ფილმის მუსიკალური გაფორმება, რა თქმა უნდა, უსასყიდლოდ.

ეს არის უდიდესი საჩუქარი დიდი მუსიკოსისგან, რომლის თანამონაწილეობა ფილმს კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობასა და ემოციურ დატვირთვას შესძენს. დიდი მადლობა ბატონ გიას ასეთი დაფასებისთვის! ასევე თქვენც შეგიძლიათ შეიტანოთ თუნდაც პატარა წვლილი ექვთიმე თაყაიშვილისა და ქართული საგანძურის ისტორიის მხატვრულად გაცოცხლებაში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

**კალეიდოსკოპი**

# აშშ-ში ღია ნარინჯისფერ ალიგატორს მიაგნეს



ამერიკის სამხრეთ კაროლინის შტატში ღია ნარინჯისფერი ალიგატორი შენიშნეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

რეპტილიას სურათი ქალაქ ჰანაჰანის შემოგარენში გადაუღეს. ცხოველს, რომლის სიგრძე დაახლოებით 140 სანტიმეტრია, ამერიკული ალიგატორებისთვის უჩვეულო ღია ნარინჯისფერი შეფერილობა აქვს.

ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა ცხოველის ფოტოსურათი ფეისბუქში გამოაქვეყნა. სოციალური ქსელის ზოგიერთმა მომხმარებელმა ვარაუდი გამოთქვა, რომ ალიგატორი თიხაში იყო ამოგანგლული, სხვებმა კი იხუმრეს, რომ ის მზეზე ირუჯებოდა და ასეთი შეფერილობა სწორედ ამის ბრალია.

ბიოლოგი კენტ ვლიეტი, რომელიც ალიგატორების შესწავლითაა დაკავებული, ფიქრობს, რომ ეს მისი ნამდვილი ფერი არ არის.

– ოდნავადაც არ მეპარება ეჭვი, რომ ცხოველი, უბრალოდ, დასვრილია, – განუცხადა მან ჟურნალისტებს.

ჩვეულებრივ, ამერიკული (მისისიპის) ალიგატორების სხეულის ზედა ნაწილს ზეთისხილის ან შავი შეფერილობა აქვს, ხოლო მუცელი – კრემისფერმოთეთრო. ახალგაზრდა რეპტილიებს კუდზე ყვითელი ზოლები ემჩნევათ, ხოლო ალბინოსი, თეთრი ფერის ალიგატორი ველურ ბუნებაში თითქმის არ გვხვდება.

# ახალ ზელანდიაში ნაპირზე გამორიყული დელფინები ზღვის მოქცევამ გადაარჩინა



ახალი ზელანდიის სამხრეთის კუნძულის ფერუელის კონცხის რაიონში 240 დელფინი გამოირიყა სანაპიროზე. თუმცა ისინი ზღვის მაღალი მოქცევის გამო ისევ წყალში აღმოჩნდნენ. ამ ინფორმაციას ბუნების დაცვის დეპარტამენტის პრეს-მდივნის ჰერბ კრისტოფერსის ინფორმაციაზე დაყრდნობით ადგილობრივი რადიო ავრცელებს.

თავდაპირველად წყალში 200-მდე დელფინი აღმოჩნდა, მოგვიანებით მეჩეჩიდან კიდევ 17 შავი დელფინის მოხსნა მოხერხდა. ამავე დროს ზღვის ცხოველები ჯერ-ჯერობით გოლდენ-ბეის ყურეში წყალმარჩხ მონაკვეთში იმყოფებიან და დიდ სიღრმეზე არ მიდიან. მაშველებს ეშინიათ, რომ შესაძლოა დელფინები კვლავ გამოირიყონ სანაპიროზე.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღით ადრე ფერუელის კონცხიდან 11 კილომეტრში ნაპირზე 400-მდე შავი დელფინი გამოირიყა, მათი უმრავლესობა, 300-მდე დელფინი უკვე მკვდარი იყო.

ცხოველების გადარჩენაში ასეულობით მოხალისე იღებდა მონაწილეობას. 100-მდე მოხალისემ წყალში ცოცხალი ჯაჭვი გააკეთა, რათა შეეჩერებინათ ის ცხოველები, რომლებიც ნაპირთან მიახლოვებას ცდილობდნენ.

ველური ბუნების ზღვის პროგრამის მსოფლიო ფონდის ხელმძღვანელის კონსტანტინ ზგუროვსკის აზრით, ცხოველები შესაძლოა სეისმოდაზვერვის აპარატურამ ან სამხედრო ხომალდების წყალქვეშა აკუსტიკურმა სისტემებმა დააბნია და მათი დეზორიენტაცია გამოიწვია. ასევე არის დელფინების ჭიებით დასნებოვნების ან ოკეანეში მოხვედრილი საწარმოო ნარჩენებით მოწამვლის შესაძლებლობის ვარაუდიც.

# ამერიკელმა ერთ დღეში ორჯერ მოიგო ლატარიაში



ამერიკის სამხრეთ კაროლინას შტატის მცხოვრება ერთ დღეში ორჯერ მოიგო ლატარიაში. ერთი ბილეთით მან 100 ათასი, ხოლო მეორე ბილეთით 200 ათასი დოლარი მოიგო.

მამაკაცი 10 წელზე მეტია რეგულარულად ყიდულობდა ლატარიის ბილეთებს და სხვადასხვა სტრატეგიას და ნიშნებს ცდიდა, რომლებსაც თითქოსდა მოგების შანსი უნდა გაეზარდათ. 30 იანვარს მამაკაცმა ქალაქ დარლინგტონში შეიარა და სხვადასხვა მაღაზიებში ლატარიის ორი ბილეთი შეიძინა. მან მათში ერთი და იგივე რიცხვები მონიშნა და ერთ ბილეთში გაორმაგებული მოგების მისაღებად გაორმაგებული თანხა გადაიხადა.

რამდენიმე დღის შემდეგ მამაკაცმა შეიტყო, რომ ხუთივე ნომერი გამოიცნო. ლატარიის წესების თანახმად, მას ამისთვის 100 ათასი დოლარი ერგება, ხოლო იმ ბილეთისთვის, რომელშიც მან ორმაგი თანხა გადაიხადა, 200 ათას დოლარს მიიღებს. ასე რომ, ჯამში ამერიკელის მოგებამ 300 ათასი დოლარი შეადგინა.

მამაკაცის თქმით, ეს თანხა მას საშუალებას მისცემს, ვადაზე ადრე დაფაროს იპოთეკური სესხი და ვალები გაისტუმროს. ასევე ის არ აპირებს უარი თქვას საკუთარ ჰობიზე და კვლავაც გააგრძელებს ლატარიის თამაშს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე რიდა საღლიანი, შვილები ალუდა, ლუარა, ლალი, გურჩიანები, ძმა ჟორა გურჩიანი, ძმისშვილები ზური, ზაზა, ლომა, მაკა, ლომა, ზვიადი, ზაზა, გოგიტა, ნათია, ნინო, ნატო გურჩიანები, შვილიშვილები მონიკა, ანა, ლუკა შამფრიანები, სიძე გოჩა შამფრიანი, რძლები მანიჟა, ირინა გურჩიანები ოჯახებით იუწყებიან

**რეზო სარდიონის ძე გურჩიანის**

გარდაცვალებას.

**დაკრძალვა:** 16 თებერვალს, 14 საათზე;
**მისამართი:** მესტიის რაიონი, სოფ. ეცერი.

---

გრიშა, ეთერ, ერეკლე, მანანა, ლილე, ლელა, ზეზვა, ვალერიან, ბეთქილ, ზვიადი, ნინო, შერგილ საღლიანები შვილებით – ალექსანდრე, დემეტრე, გიორგი, მარიამ, ანი, ანრი, ეთერ, გიორგი, მარიამ, ერეკლე, ხათუნა, თეა, გუნტერ საღლიანები, მამუკა, კობა ჩხარტიშვილები, რძლები მარინე შერმადინი, მიმოზა გერლიანი, ქეთინო მინდორაშვილი, თამრიკო საღლიანი, ნაირა აფციაური, სიძეები ზაზა თოიძე, გოგი ჩხარტიშვილი ოჯახებით იუწყებიან

**რეზო გურჩიანის**

გარდაცვალებას.

---

ძმისშვილები ნურბი, თენგო, ლიანა, ნათელა, ნანუ შვილებით – მერაბი, გიორგი, ნიკა, მარიამ გურჩიანები, ირაკლი, ჯემალ, ეკა ჟორჟოლიანები, გოგა, დათო, ნინო იოსელიანები, მახო ბრეგვაძე, რძლები ნათია გოგიჩაიშვილი, მაია ტალახაძე, სიძეები გოჩა ჟორჟოლიანი, თამაზ იოსელიანი იუწყებიან

**რეზო გურჩიანის**

გარდაცვალებას.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

ხუთშაბათი
16 თებერვალი

**07.00** დოკ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" **08.00** ანიმაცია."ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **09.00**"მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "დღე მუზეუმში" **14.30** "ფერმა" **15.00** "X სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00**"ინტერვიუ სალომე ასათიანთან" **22.30**"ვექტორი" **23.00** ტ/სერ "**მთავრობა** **00.00**"უცნობი მუსიკა" **01.30** მხ/ფ "**12 მაიმუნი**"

**08.00** დ/ფ "სკეიტბორდის ისტორია" **09.00** დ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.20** მხ/ფ "**გარეუბანი**" (ტ.ჰენქსი) **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "ააშენე უფრო დიდი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00** ტ/სერ. "**ამერიკული ოდისეა**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**ზღვარზე**"

**06.30, 16.00** სერ. "**ელიფი**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.45** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.00** სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად **23.30** გრიფით საიდუმლო **00.00** მხ/ფ "**დივერსია**" **02.00** მხ/ფ "**თავისუფლები**"

**06.00, 18.50, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **06.45, 20.10** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **22.00** პროფილი **23.30**P.S. **00.00** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ატომი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**მშობლები**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** 18+ **01.00** მხ/ფ "**არაჩვეულებრივი ბერტ უანდერსტოუნი**" **03.00** მხ/ფ "**მისტერ 3000**"

**06.15** სჯანი-ასტროლოგია **06.30** პატერიკი-როგორ მოვაგროვოთ ჭეშმარიტი სიმდიდრე" **06.45** დ/ფ "შვიდკაცა" **07.25** ქართული ალბომი **07.50** განთიადის სიუჟეტი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.25** სიბრძნისმეტყველება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.40** ერთსულოვნების სალონი **11.30** ეპოქის სახელები **11.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ/ფ "**კროსვორდის ამოხსნის მოყვარულთათვის**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.00** გამოყენებითი ხელოვნება "დიზაინი ფერში" **15.05** ღვთის სახლი **15.20** ქართული ან/ფ **15.30** ტრაპეზი "კიტრის და პამიდვრის სალათი, ხბოს კუჭმაჭი" **15.50** კონცერტი "ქართული გალობა" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** წმინდანები **19.40** პორტრეტები **20.40** ძილი ნებისა მულტ. ფილმი "ძაღლუკები" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** შარავანდედიდიმიტრი არაყიშვილი, დიმიტრი ბაქრაძე **21.30** დიდ ხარ შენ უფალო..."მოსეს გაქცევა, შეუწველი მაყვლის ბუჩქი" II **22.20** ჩვენი საგანძური **22.35** ივერიის ეკლესია **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.40** ღვთის სახლი "აფხაზეთის საკათალიკოსო" **1 00.30** დ/ფ "გამჭოლი მოქმედება-მიშა თუმანიშვილი" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "მაშა და დათვი" **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა ბოშური ვნება**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30** დისქავერი "ქალი,კაცი,ბუნება" **14.30, 15.30** სერ. "**თურქული ენა დამწყებთათვის**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50, 20.55** სერ. "**გაზაფხულზე იბადება სიყვარული**" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.45** სერ. "**ცხოვრება რომელიც არ ყოფილა**" **1.30** "კონტაქტი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**16 თებერვლისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

- აშშ დოლარი — 2.6467
- ევრო — 2.8100
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2988
- 100 რუსული რუბლი — 4.6008

## ამინდის პროგნოზი 16 თებერვლისთვის




## 14 თებერვლიდან




რევაზ მიშველაძე

# ჩურჩულს გადაჩვეული კაცი

**მაგარი ყდა, 826 გვერდი**

რევაზ მიშველაძის ეს რომანი 2010 წელს მიჩნეულ იქნა წლის საუკეთესო რომანად.

მასში მოთხრობილია საქართველოს ბოლო პერიოდის ცხოვრება – 9 აპრილი, ეროვნული მოძრაობა, 1993 და 2008 წლების ომები რუსეთის წინააღმდეგ.

ნაწარმოებში არის სიყვარულის დრამატული ისტორიაც და ჩაძინებული საქართველოს გაღვიძების ავტორისეული სურვილიც. ზოგი პერსონაჟი თავისი გვარითაა წარმოდგენილი, ზოგი კი – იმგვარი მინიშნებით, მკითხველს ამოცნობა რომ არ გაუჭირდება.

**ფასი გაზეთთან ერთად 13 ლარი**

## 13 თებერვლიდან




ევგენი ჯუღაშვილი

# პაპაჩემი სტალინი

ეს წიგნი წარმოადგენს სენსაციურ მემუარებს, რომელიც შუქს ჰფენს კრემლისა და ოჯახის საიდუმლოებებს.

ევგენი ჯუღაშვილი იოსებ სტალინის 8 შვილიშვილიდან ერთადერთია, რომელიც თავისი პაპის თანამოაზრეა.

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

# ნინი შერმადინი ამერიკულ ნიჭიერში მონაწილეობს




მომღერალი ნინი შერმადინი სხვადასხვა მუსიკალური პროექტებიდან გახდა პოპულარული. ის საქართველოდან წლების წინ წავიდა. კარიერული ზრდისთვის მან არჩევანი ამერიკაზე გააკეთა და როგორც თავად ამბობს, არც შემცდარა.

ნინიმ საქართველო საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებზეც წარადგინა და წარმატებებსაც მიაღწია. მან ბერძნულ „იქს ფაქტორში“ მიიღო მონაწილეობა და მეორე ადგილი დაიკავა, ამჯერად კი ამერიკულ ნიჭიერში მონაწილეობს.

ნინი საქართველოში ეტაპობრივად ჩამოდის, თუმცა საბოლოოდ დაბრუნებას არ გეგმავს. როგორც თავად ამბობს, დიდი გეგმები აქვს და თავისი კარიერის დასახვეწად ბევრ მუშაობას აპირებს, ამისთვის კი ყველაზე კარგი პირობები სწორედ ამერიკაშია.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი



სახლში გვიან დაბრუნებულ ცოლს გაბრაზებული ქმარი ეკითხება:

– ამბავი მომიტანეს, რომ შალიკომ ტყეში შეიტყუა შენი ცოლი და ისიც სულ ტუსტუსით გაჰყვაო, მართალია?

– უიმეე! რა უნამუსო და ჭორიკანა ხალხია. სად არის იქა ტყე?! ერთ გაქუცული მუხა დგას!

●●●

უძველეს სპარტაში წესად ჰქონდათ, გონებრივად არასრულფასოვან ბავშვებს კლდიდან ყრიდნენ და მათ ფეხბურთელებად ან დეპუტატებად არ ზრდიდნენ.

●●●

კარზე კაკუნის ხმა ისმის. შიგნიდან მამაკაცის ხმა კითხულობს:

– ვინ არის?

– უბნის რწმუნებული ვარ. მეზობლებისგან საჩივარი შემოვიდა, რომ თქვენი ბინიდან მუდმივად დამწვრის სუნი გამოდის და უაზრო სიცილის ხმა ისმის. რას აკეთებთ?

– ისეთ არაფერს... ნაჭრებს ვწვავთ, ვიცინით.

●●●

ორი პენსიონერი მეგობარი საუბრობს:

– ეჰ, ადრე ბ-ე კატეგორიის მძღოლი ვიყავი...

– ახლა?

– ახლა ე კატეგორიის ვარ.

– ეგ როგორ?

– ეტლით შვილიშვილს ვატარებ.

●●●

კაცი მათხოვრობს. გამვლელს ევედრება:

– თუ შეიძლება, საჭმლის ფული მომეცით.

– სამწუხაროდ, ნაღდი ფული არ მაქვს მეგობარო, პლასტიკური ბარათი მაქვს.

– სწორედ შენისთანების გამო, იძულებული გავხდი, მობილური ტერმინალი შემეძინა. მომეცი შენი ბარათი.

●●●

გოგონები საუბრობენ. ერთ-ერთი კითხულობს:

– გოგონებო, რომელიმე თქვენგანი ხანდაზმულ მამაკაცს თუ ხვდებოდა?

– პენსიას 10 რიცხვის შემდეგ იღებენ.

●●●

კაცი ცოლთან ერთად ქუჩაში მიდის და ხედავს, ცხენზე ამხედრებული კინოვარსკვლავი მოდის. კაცმა ჩაილაპარაკა:

– აჰ, ნეტავი მის ცხენად მაქცია.

– მიდი, ჰკითხე, იქნებ ვირითაც მოისურვოს გასეირნება, – ურჩია ცოლმა.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





## 16 თებერვლიდან




ვაჟა ფშაველა

# ქუდოვანი

**ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი**

## 15 თებერვლიდან

სტეფანი მეიერი

# დაბნელება

„დაბნელება“ სტეფანი მეიერის „ბინდის“ საგის მესამე წიგნია. საგის ამ ნაწილში ბელა ისევ საფრთხეშია – შურისგებით აღსავსე ვიქტორია ახალშექმნილ, უკონტროლო ვამპირთა არმიით ცდილობს მის განადგურებას.

ეს საკმარისი მიზეზია საიმისოდ, რომ საუკუნეების განმავლობაში ერთმანეთის მოძულე მაქციები და კელენების ოჯახი საერთო მტრის წინააღმდეგ გაერთიანდნენ.




**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**




## 17 თებერვლიდან

# გაბრიელ გარსია მარკესი

ჩილეში არალეგალურად შეპარული მიგელ ლიტინის თავგადასავალი

**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**

# ჯორჯო კიელინიმ ტრავმა მიიღო



ტურინის იუვენტუსის ცენტრალურმა მცველმა ჯორჯო კიელინიმ კალიარისთან შეხვედრაში ტრავმა მიიღო, რის გამოც ის თავისი გუნდის მომავალ შეხვედრას პალერმოსთან გამოტოვებს.

პალერმოსთან კიელინის არყოფნა იუვესთვის დიდი დანაკლისი არ იქნება, რადგან პალერმო იტალიის ჩემპიონატში ბოლო ადგილზეა, მაგრამ კიელინიმ შესაძლოა სხვა მატჩებიც გამოტოვოს. მაგალითად, ჩემპიონთა ლიგის პირველი მერვედფინალური შეხვედრა პორტუგალიური პორტოს წინააღმდეგ, რომელიც 22 თებერვალს გაიმართება. კიელინის გარდა, ტრავმირებულია იუვეს კიდევ ერთი მცველი ანდრეა ბარცალი.

ბ. გ.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აფრიკული მოლაპარაკე თუთიყუში; 2. იუმორისტული ნახატი, კარიკატურა; 3. ესპანეთის კუნძული ხმელთაშუა ზღვაში, პოპულარული საკურორტო ზონა; 4. შაქრიანი ცხელი წყლით შეზავებული რომი ან ვისკი; 5. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 6. მჭერმეტყველების თეორია; 8. სიჩქარის საზომი ხელსაწყო ავტომობილში; 10. სევდიანი, ნაღვლიანი განწყობილება; 11. მე-12 საუკუნის ქართველი პოეტი, „თამარიანის“ ავტორი; 14. სიკო დოლიძის მხატვრული ფილმი; 15. ველური ვარდი; 16. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა.

**თარაზულად:** 1. ჩინეთსა და შორეულ აღმოსავლეთში მზარდი ბალახოვანი, სამკურნალო მცენარე; 4. ლითონის ან ხის ზედაპირზე ამოკვეთილი ნახატი; 7. შავი ფისი; 9. ათცენტიანი მონეტა აშშ-ში; 12. სათბურში გამოყვანილი მცენარის ნერგი; 13. ლითონის, ხის დასამუშავებელი დანადგარი; 14. მწვანე ფერის ციტრუსოვანი მცენარე; 17. სატუსაღო ძველ თბილისში; 18. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 19. ძველბერძენი ფილოსოფოსი, ორატორი; 20. კლიმატური კურორტი ხაშურის რაიონში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი